გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№78 (834) 12 - 14 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# მხოლოდ 40 თეთრი

## მაია რჩეულიშვილი: „ყველაფერი სასამართლოში გადაწყდება!“




შეუფარდებენ თუ არა 11-წლიან პატიმრობას „ცენტრ პოინტის“ მფლობელებს და რა კავშირი აქვს სამშენებლო სკანდალთან გიგი უგულავას

გვ. 4

## პრემიერის მოწოდება და ნაციონალების პროვოკაციული გეგმა



რატომ ალაპარაკდა ბოკერია დემოკრატიის საფრთხეებზე და როგორ აპირებს სააკაშვილი ვილნიუსის სამიტზე პრეზიდენტის რანგში დასწრებას

გვ. 5

## „საქართველოს ბანკი“ და ენერგეტიკის განვითარების ფონდი 7 ჰესს ააშენებენ



კახი კალაძემ და ირაკლი გილაურმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს

გვ. 7

## ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული 4 ათასზე მეტი ჯარისკაცის ოჯახი 500-ლარიან პენსიას მიიღებს

გაზრდილი პენსია იმ ოჯახებსაც გადაეცემა, რომლებსაც მარჩენალი ჰყავს

ყოფილი სამხედროების პენსია 300 ლარით გაიზრდება, ვეტერანთა სამსახური დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდება!



გვ. 3

## დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

გვ. 3

## დაპირისპირება მეუფესა და მრევლს შორის



დედოფლისწყაროელები მეუფე მელქისედეკს ბრალდებებს უყენებენ და ცაძარში დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძის დაბრუნებას ითხოვენ

გვ. 11

## „ქუთაისის მერის მოადგილეებმა საბოტაჟი მოაწყვეს“

რა დარღვევებით ჩატარდა ოთხი ტენდერი და რაში ამხელს კოპალიანის მოადგილე თენგიზ თოფურიძე მერიის ყოფილ თანამშრომლებს

გვ. 13



## შინაგან საქმეთა მინისტრი ავსტრიელ კოლეგას შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრ იოანნა მიკლ-ლაიტნერს შეხვდა. შეხვედრაზე ხელი მოეწერა „ავსტრიის ფედერალურ მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმს.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს რეადმისიის შესახებ ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმების საიმპლემენტაციო დებულებებს და არეგულირებს კონკრეტულად საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის აღნიშნულ სფეროში თანამშრომლობის დეტალებს.

შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს ორი ქვეყნის ძალოვანი უწყებების შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, გამოცდილების გაზიარება და საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხები.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი ავსტრიის რესპუბლიკაში დასრულდა.

*„ვერსიანიუსი“*

## დავით კირვალიძე სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნებთან დაკავშირებული საქმის სწრაფად გამოძიებას ითხოვს

სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე შინაგან საქმეთა მინისტრსა და მთავარ პროკურორს მიმართავს და სამინისტროს დაკავებულ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებული საქმის სწრაფად გამოძიებას ითხოვს: **„2 მაისიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც თანამდებობა დავტოვე, ამ საკითხზე კომენტარი არ გამიკეთებია, იმის გამო, რომ გამოძიება მალე უნდა დასრულდეს და სამართალი დადგეს. დღევანდელი ფაქტი ძალიან ცუდია. მივმართავ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს და შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, სამართლებრივად სწრაფად იყოს გამოძიებული ეს საქმე, რაც ჩვენს ინტერესებშიც შედის. მოგეხსენებათ, ამასთან დაკავშირებით კიდევ 5 ადამიანია წინასწარ პატიმრობაში. მჯერა, სამართალი მალე დადგება და ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებას მალე დატოვებენ“.**

კითხვაზე, სავარაუდოდ, რატომ ითხოვდნენ მამუკა ივანიაძისგან დავით კირვალიძის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას, სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა კომენტარი არ გააკეთა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## სერგო რატიანის ინფორმაციით, გიორგი ვაშაძის სახლი დაყადაღებულია



საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის სახლი დაყადაღებულია. როგორც საპარლამენტო უმცირესობის წევრმა სერგო რატიანმა განაცხადა, დეპუტატის სახლის დაყადაღების გადაწყვეტილება სასამართლომ ჯოზეფ ქეის მოთხოვნის შემდეგ მიიღო.

ჯოზეფ ქეი აცხადებს, რომ მას შეურაცხყოფა მიაყენეს, როდესაც გიორგი ვაშაძემ მას საერთაშორისო თაღლითი უწოდა. სასამართლომ გადაწყვეტილება სწორედ ამ განცხადების საფუძველზე მიიღო.

სერგო რატიანის შეფასებით, ოპოზიციის მიმართ დევნა მიმდინარეობს: **„ეს არის სრული აბსურდის თეატრი. ოპოზიციის დევნა უკვე გადადის ყოველგვარ ზღვარს. ეს არის შემაშფოთებელი. ის, რასაც აკეთებს საქართველოს ხელისუფლება, პროკურატურა და შემდეგ ამაში ერთვება სასამართლო, ყოველგვარ ზღვარსაა გადასული“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



# გია ხუხაშვილი ლაშა ამირეჯიბს უჩივის

რუსუდან შელია
557-100-768

გია ხუხაშვილი სახალხო კრების წევრ ლაშა ამირეჯიბს სამოქალაქო სასამართლოში უჩივლებს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა და ისიც აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული შავი პიარკამპანიის გამო, ლაშა ამირეჯიბისგან ფულად კომპენსაციასაც მოითხოვს: **„უნდა შეიქმნას პრეცედენტი, როცა ადამიანი ბინძური და ცრუ ბრალდებების გავრცელებისთვის სათანადოდ დაისჯება. ლაშა ამირეჯიბის მიერ ჩემ წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია, ამიტომაც მისგან გარკვეულ თანხას მოვითხოვ, რომელსაც შემდეგ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ანგარიშზე ჩავრიცხავ, რადგან, სამწუხაროდ, ამ დანაშაულის თანამონაწილე ზოგიერთი მედიასაშუალებაც გახდა. პირადად მე კი, ეს ფული არ მჭირდება“.**

ჟურნალისტებთან შეხვედრისას გია ხუხაშვილმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც შეაფასა. მისი განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს და თუ დადგინდა, რომ დანაშაულებრივი სისტემა მიხეილ სააკაშვილის პირადი ბრძანებით იქმნებოდა, პრეზიდენტი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს. ხუხაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სამართლიანობის აღდგენის პროცესის სრული სიმკაცრით ამოქმედებაც დააანონსა: **„რეჟიმის გასამართლება პრევენციისთვის გვჭირდება, რადგან ისტორიული მეხსიერება ყველაზე ძლიერია. მიმაჩნია, რომ სისტემა თვითგადარჩენას კიდევ ერთხელ შეეცდება, რადგან რეჟიმის დამარცხება ავტომატურად სისტემის დამარცხებას არ ნიშნავს. თუ ვინმე აშავებს, მათ შორის პრეზიდენტი, კანონის წინაშე აუცილებლად უნდა დაისაჯოს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, თანაც საკმაოდ მწვავედ. თუმცა ეს გამოძიების საქმეა. ჩემი აზრით, სააკაშვილის რეჟიმი კრიმინალური მეტასტაზებით გაჟღენთილი სისტემა იყო. წარმოიდგინეთ, ქვეყანაში ჯანსაღი სფერო არ არსებობდა და დღეს ჩვენ ყველა ნაბიჯზე დანაშაულს ვაწყდებით — ყველაფერი მაფიის პრინციპით იყო სტრუქტურირებული“.**

პრემიერის მრჩეველი მთავარი პროკურორის მიერ ბედუკაძის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, არჩილ კბილაშვილს აღნიშნულ საკითხში პოლიტიკური გუნდის უმრავლესობა არ ეთანხმება: **„სამართლებრივად, პროკურორს კანონი არ დაურღვევია, თუმცა ფაქტია, რომ არჩილ კბილაშვილის გადაწყვეტილება საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. თანაც, თუ ბედუკაძეს დაუდასტურდა, რომ არაადამიანური მოპყრობისა და წამების ეპიზოდებში თავადაც მონაწილეობდა, დაზარალებულს როგორ უნდა ავუხსნათ, რომ ჩვენ რაღაც დიდი მიზანი გვამოძრავებს. პრინციპი — მიზანი ამართლებს საშუალებას, ჩემი აზრით, ამორალურია! თუ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ირღვევა, თან ასეთი სასტიკი ფორმით, დანაშაულს გამართლება არ აქვს. ამ შემთხვევაში, ბრალის შემსუბუქებაზე საუბარი უპრიანი იქნებოდა, თუმცა ბედუკაძის პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლება არასწორი გადაწყვეტილებაა“.**

**გია ხუხაშვილმა „ვერსიის“ კითხვებსაც უპასუხა:**

**— მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ ბედუკაძის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაში ირაკლი ღარიბაშვილიც მონაწილეობდა. არ ფიქრობთ, რომ იმ მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის საქმიანობაშიც შინაგან საქმეთა მინისტრი ერევა, აუცილებლად უნდა დადგეს?**

— არა მგონია, კბილაშვილსა და ღარიბაშვილს შორის ამ საკითხზე განხილვა მართლაც შემდგარიყო, თუმცა შესაძლოა, მათ არა თანამდებობრივად, უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობიდან გამომდინარე ისაუბრეს. შესაძლოა, არჩილ კბილაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს ამ საკითხზე კითხვა დაუსვა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაში ღარიბაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ბუნებრივია, როცა რთული გადაწყვეტილება გაქვს მისაღები, აზრს ადამიანებს ეკითხები.

— **მაშინ რაში დასჭირდა არჩილ კბილაშვილს ირაკლი ღარიბაშვილის სახელის გაჟღერება ან რატომ არ შედგა მსგავსი საუბარი თეა წულუკიანთან, რომლის უშუალო დაქვემდებარებაში მაშინ მთავარი პროკურატურა იყო?**

— ეს კითხვა, ალბათ, არჩილ კბილაშვილსა და თეა წულუკიანს უნდა დაუსვათ. დღევანდელი ხელისუფლების მთავარი პრინციპი ისაა, რომ დამოუკიდებელი სტრუქტურების საქმიანობაში მმართველი გუნდი არ ერევა. პოლიტიკური გუნდი იზიარებს აზრს, რომ კბილაშვილმა არამართლზომიერი გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად ამისა, ინსტიტუციურად ვერ დავლაგდებით, თუ ხელისუფლება მხოლოდ პოლიტიკური მოტივის საფუძველზე საკადრო ცვლილებებს განახორციელებს, თუმცა მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები, არავინ იცის. არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი ფორმალურად არ არსებობს. რაც შეეხება განცხადებებს, ეს მხოლოდ ჩვენი შეფასებებია. ჩვენი სურვილია, პროკურატურის დამოუკიდებლობა სრულად შევინარჩუნოთ.

ვერსიანიუსი

## „კბილაშვილის გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ დგას!“



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კატეგორიულად მოითხოვს, მთავრობამ არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან გადაყენების დოკუმენტი წარუდგინოს: **„ორი დღის წინ შევთავაზე პრემიერს, წარმოადგინოს მთავრობამ არჩილ კბილაშვილი თანამდებობიდან გასათავისუფლებლად. პრემიერმა თქვა, რომ ის არ ეთანხმება ადამიანის უფლებათა უხეში დამრღვევის, მთავარი სადისტის, ბედუკაძის შეწყალებას, რომელმაც მერე ეს კადრები გაყიდა და ვის მიყიდა, ძალიან კარგად ვიცი. პრემიერი გამოვიდა და თქვა, რომ ის ამას არ ეთანხმება. თუ არ ეთანხმები, მაშინ უნდა წარმოადგინო მოსახსნელად ეს კაცი და მე, პრეზიდენტის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ამ კაცს გავათავისუფლებ. თორემ ისე გამოვა, რომ მან შეიწყალა, გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან, ამათ დაგმეს და მერე ყველაფერი ჩვეულებრივად დარჩა, ვითომ არაფერი“.**

პრეზიდენტის შეფასებით, თუ კბილაშვილის გათავისუფლების დოკუმენტს არ წარადგენენ, ეს ნიშნავს, რომ მთელი ეს შეშფოთება სრული თვალთმაქცობა იყო: **„კიდევ ერთხელ, კატეგორიულად ვთხოვ საქართველოს მთავრობას, იმის გამო, რომ მთავარმა პროკურორმა დაარღვია სამართლის უზენაესობის მთავარი პრინციპები, დაუყოვნებლივ წარმოადგინონ მთავარი პროკურორი გასათავისუფლებლად და ამ შუამდგომლობას დღესვე დავაკმაყოფილებ. თუ ამას არ გააკეთებენ, დავრწმუნდები, რომ ყველაფერი იყო სრული თვალთმაქცობა და საქმე გვაქვს ძალიან ბინძურ თამაშთან, რომლის ერთადერთი მიზანია ქართული საზოგადოების გასულელება და შეცდომაში შეყვანა. ვფიქრობ, საზოგადოება ამას არ წამოეგება“.**

პრეზიდენტის მოთხოვნას ხელისუფლების წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. მათი პოზიცია ერთსულოვანია — **„სააკაშვილი კბილაშვილის გათავისუფლებას ვერ ეღირსება“.**

იგივე აზრს იზიარებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მისი თქმით, **„მთავარი პროკურორის გათავისუფლების შესახებ პრეზიდენტისთვის წარდგინების გაგზავნა დღის წესრიგში არ დგას“.**

*„ვერსიანიუსი“*

# ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული 4 ათასზე მეტი ჯარისკაცის ოჯახი 500-ლარიან პენსიას მიიღებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„შეიარაღებული ძალების სიძლიერესა და ბრძოლისუნარიანობას არა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის ფიზიკური მომზადება და აღჭურვა, არამედ, უპირველესად, მისი პროფესიული განათლება და სოციალური დაცვის გარანტიები, მის მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულება განსაზღვრავს. ამდენად, საქართველოს უკეთ დასაცავად ჩვენი ყოველდღიური ძალისხმევა სწორედ სამხედრო მოსამსახურეთა განათლების, წვრთნის, კარიერის მართვისა და სოციალური დაცვისკენ იქნება მიმართული,“ — ეს ტექსტი ყველა ხელისუფლების თავდაცვის უწყების საიტზე დევს და დეკლარირებულად, თავდაცვის ყველა მინისტრის უცვლელ პრიორიტეტსაც წარმოადგენს. მეორე საკითხია, რა კეთდება რეალურად ქართველი ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების უზრუნველსაყოფად და რამდენად ადეკვატურია კომპენსაციები თუ პენსიები, რასაც ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები და დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები სახელმწიფოსგან იღებენ.**



## გაზრდილი პენსია იმ ოჯახებსაც გადაეცემა, რომლებსაც მარჩენალი ჰყავს

წინა ხელისუფლების პირობებში, ვარბევდით ვეტერანთა საპროტესტო აქციებს, ომის ინვალიდებისთვის სასაცილო, პენსიებს ვაწესებდით და ჯანმრთელობაშერყეულ სამხედრო მოსამსახურეებს არანაირ სოციალურ შეღავათებს არ ვთავაზობდით. გამართულად არ მუშაობდა ომის ვეტერანობის დამდგენი და სტატუსის მიმნიჭებელი კომისია, ასევე ვეტერანთა დეპარტამენტი. არც ის პენსია იყო საკმარისი, რომელსაც ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები იღებდნენ. თანაც, პენსია მარჩენალდაკარგულ ოჯახებს გადაეცემოდა მხოლოდ.

დღეს, ვითარება იცვლება და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია საიმედო განცხადებას ავრცელებს — 2013 წლიდან ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების ხელფასი 300 დოლარით გაიზარდა. სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების თანამშრომლების 89%-სთვის კი — 25%-ით. ქართველ სამხედროებს ახალი სადაზღვევო პაკეტით სარგებლობა შეუძლიათ და ეს პაკეტი თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური მაღალჩინოსნების დაზღვევას არ ჩამოუვარდება. გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების სოციალური დაცვის საკითხებს თავდაცვის მინისტრის 560-ე ბრძანება არეგულირებს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის მიხედვით, სასიკეთო ცვლილებები იგეგმება. როგორც მინისტრი აცხადებს, სამშობლოსთვის დაღუპული ყველა გმირის ოჯახს, განურჩევლად იმისა, რომელ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა, ორ ეტაპად, 1000-ლარიანი პენსია დაენიშნება. ხოლო საერთაშორისო ოპერაციებში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები, ერთჯერადად, 100 000-ლარიან დახმარებას მიიღებენ. ეს დახმარება საერთაშორისო ოპერაციებში აქამდე დაღუპულ გმირებზეც გავრცელდება. ალასანიასვე ინფორმაციით, ვეტერანთა დეპარტამენტმა წლის ბოლომდე უნდა დაადგინოს საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული ყველა მებრძოლის ვინაობა და მათი სამართალმემკვიდრეები, რომელთაც ეს პენსია ეკუთვნით.

ჩნდება რამდენიმე კითხვა — გადაეცემათ თუ არა გაზრდილი კომპენსაციები სამოქალაქო, ტერიტორიული მთლიანობისთვისა და აგვისტოს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს? ამ გაზრდილ თანხას მხოლოდ მარჩენალდაკარგული ოჯახები მიიღებენ თუ ყველა, ვინც ომში თუნდაც სამიდან ერთი ვაჟი დაკარგა? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, „ვერსია“ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, **ირაკლი სესიაშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც რამდენიმე საინტერესო სიახლე გაგვიმხილა:

— საუბარია ადამიანებზე, ვინც სამოქალაქო ომში, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა — მათი ოჯახის წევრები 2014 წლიდან, ანუ მას მერე, რაც პარლამენტში ეს ცვლილება გავა, 500-ლარიან, ხოლო 2015 წლიდან უკვე 1000-ლარიან პენსიას მიიღებენ. ხოლო იმ ჯარისკაცთა ოჯახებს, ვინც სხვადასხვა საერთაშორისო მისიებში დაიღუპნენ, ერთჯერადად, 100 000-ლარიან კომპენსაცია გადაეცემათ.

*დასასრული მე-4 გვერდზე*


# დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს






**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.**

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

**საკონტრაქტო სამსახურის პირობები:**
**ვადა:** 12 თვე
**გრაფიკი:** სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
**ყოველთვიური ანაზღაურება:** 90 ლარი;

**სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:**
1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: ალმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# მაია რჩეულიშვილი: „ყველაფერი სასამართლოში გადაწყდება!“



## შეუფარდებენ თუ არა 11-წლიან პატიმრობას „ცენტრ პოინტის“ მფლობელებს და რა კავშირი აქვს სამშენებლო სკანდალთან გიგი უგულავას

**„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლებს — მაია რჩეულიშვილს, რუსუდან კერვალიშვილს და „დექსუსის“ 33%-იანი წილის მფლობელს, ივანე ცაგურიას მთავარმა პროკურატურამ თაღლითობისა და სხვისი ქონების მითვისების მუხლით, ბრალი უკვე წაუყენა. 13 ივლისს, მთავარი პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელებს. ოფიციალური ინფორმაციით, გამოძიება „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებული მოქალაქეების საჩივრების საფუძველზე დაიწყო. დადგინდა, რომ ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის წევრების მიერ შეტანილი დიდი ოდენობით თანხა უკანონოდ დაისაკუთრეს. დაყადაღებულია „ცენტრ პოინტის“, „დექსუსისა“ და მასთან დაკავშირებული კომპანია „ალიანს კაპიტალის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.**

### ბრალდების ოფიციალური ნაწილი

მაია რჩეულიშვილი, რუსუდან კერვალიშვილი და ივანე ცაგურია დაკითხვაზე 11 ივლისს დაიბარეს. დღის 2 საათზე მთავარი პროკურატურის შენობა მაია რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა დატოვეს, ივანე ცაგურიას კი აღკვეთის ღონისძიება შეუფარდეს. პროკურატურის განცხადებით: **„მთავარი პროკურატურა რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებს გამოძიებას „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე. გამოძიებით ამხანაგობა „თაბუკშვილი 88“-ის წევრების მიერ შეტანილი დიდი ოდენობით თანხების უკანონო დასაკუთრების სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემები დადგინდა, რაშიც იმხილებიან რუსუდან კერვალიშვილი („ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებელი, 50% წილის მფლობელი), მაია რჩეულიშვილი, („ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებელი, 50% წილის მფლობელი) და ივანე ცაგურია, (კომპანია „დექსუსის“ დამფუძნებელი, 33% წილის მფლობელი).**

**ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის წევრების მიერ, 2004-2009 წლებში, ამავე ამხანაგობის წევრების ბინათმშენებლობისთვის მოზიდულ იქნა 27 701 299 აშშ დოლარი, მათ შორის უშუალოდ მენაშენეების შენატანები შეადგენდა 23 380 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლებმა, წინასწარ შეთანხმებული და სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაისაკუთრეს მენაშენეთა მიერ შეტანილი თანხები, რის გამოც შეუძლებელი გახდა ამხანაგობის წევრთა წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება და მშენებლობის დასრულება. ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის პროექტიდან, სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემებით, მაია რჩეულიშვილმა, ამავე ამხანაგობის წევრების მიერ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის მობილიზებული თანხებიდან 1 065 159 აშშ დოლარი მიითვისა, რუსუდან კერვალიშვილმა კი 1 833 806 აშშ დოლარი და 185 069 ფუნტი სტერლინგი. მაია რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა, დამატებით, ერთობლივად მიითვისეს 2 023 202 აშშ დოლარი და 2 403 750 ლარი. ჯამში, „ამხანაგობა 88“-ის მენაშენეთა მიერ გადახდილი თანხებიდან, რაც განკუთვნილი იყო ამხანაგობის ბინათმშენებლობისთვის (რომელიც უნდა დასრულებულიყო 2007 წელს), მათ უკანონოდ მიისაკუთრეს 11 000 000 ლარზე მეტი, რის გამოც შეუძლებელი გახდა ამხანაგობის წევრთათვის განკუთვნილი სახლის მშენებლობა.**

**რუსუდან კერვალიშვილს წარედგინა ბრალდება დანაშაულთათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით), 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მითვისება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით), 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით).**

**მაია რჩეულიშვილს წარედგინა ბრალდება დანაშაულთათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით), 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (მითვისება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით); 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით).**

**ივანე ცაგურიას წარედგინა ბრალდება დანაშაულთათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, ასევე 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (დახმარება თაღლითობაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით), 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (გაფლანგვა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით)“.**

### რჩეულიშვილებს „დექსუსი“ უგულავამ შეუგზავნა?

**„ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, მაია რჩეულიშვილი „ცენტრ პოინტის“ სკანდალის უცნობ დეტალებზე საუბრობს:**

**— ქალბატონო მაია, „ცენტრ პოინტის“ დაბრუნების შემდეგ ბრძანეთ, რომ მზად იყავით, დაზარალებულებთან პრობლემა მოგეგვარებინათ. ამ მოკლე დროში რა მოხდა?**

— ეს მოკლე დროში არ მომხდარა. პროკურატურის ნაბიჯი, წლების განმავლობაში ჩვენ წინააღმდეგ გამართული მიტინგების ლოგიკური დასასრულია. როცა ამდენი ადამიანი და მათ შორის, „დექსუსის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ ჩვენ თაღლითები ვართ, პროკურორს რა უფლება აქვს, ასეთ ზომას არ მიმართოს? ფაქტი სახეზეა, ორი ძალიან მძიმე რამ მოხდა, ჩემმა დებიტორებმა არ შემოიტანეს 40 000 000 აშშ დოლარი და ამიტომ არ აუშენდათ სახლი. როდესაც „დექსუსს“ გადავეცით ქონება, მისი ღირებულება 94 215 000 აშშ დოლარი იყო. აქედან 28 000 000 აშშ დოლარი — დებიტორული, 50 000 000 აშშ დოლარი — მარაგებისა და 16 386 000 აშშ დოლარი — თავისუფალი მიწის აქტივების დავალიანება გახლდათ. „დექსუსმა“ უჩვეულო ხერხს მიმართა, ქონება იჩუქა, მაგრამ ჩათვალა, რომ ეს ქონება მისი აქტივია, ხოლო დავალიანება — ჩვენი. ადამიანებს, რომლებიც „დექსუსს“ დახმარებისთვის მიმართავდნენ, კომპანიის წარმომადგენლები ეუბნებოდნენ, მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს მიაკითხეთო. ჩანს, ხელშეკრულება კარგად უნდა წამეკითხა და გარკვეული უფლებებიც დამეტოვებინა ჩემთვის, თუნდაც პრესასთან ურთიერთობის მხრივ. ხელშეკრულების მიხედვით, პრესასთან ურთიერთობაშიც კი შეზღუდული ვიყავი. აქედან გამომდინარე, ხალხის უკმაყოფილება აგორდა. ეგზალტირებულმა ადამიანებმა, რომლებსაც ფული უკვე გადახდილი ჰქონდათ, გადაწყვიტეს, უკანასკნელი ზომისთვის მიემართათ — პროკურატურაში განცხადებები შეიტანეს. დაახლოებით, 400-მდე განცხადება დაგროვდა და შეუძლებელი იყო, პროკურატურას გამოძიება არ დაეწყო. გამოიძიეს სააკაძის ქუჩისა და „ინვესტთან“ დაკავშირებული მცირე ეპიზოდები. არადა, სააკაძის ქუჩაზე მშენებლობა, პრაქტიკულად, დამთავრებული მქონდა, ერთი კორპუსი შევღებე, თეთრი კარკასი ჩავაბარე. სააკაძის ეპიზოდში გამოძიებამ ნახა, რომ მიწის აქტივები შევიძინე, ანუ როდესაც თანხის შემოტანის რაოდენობა შემცირდა, გადავწყვიტე, მიწის ნაკვეთი შემეძინა, კაბა და საყურე ხომ არ მიყიდია? არადა, მიწა ჩვენი კომპანიის არსებობისთვის აუცილებელი აქტივია. მედავებიან მიწის ფასზე, რომელიც, წესით, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ უნდა დაადგინოს. სწორედ ამ პრინციპით ვიყიდე ბათუმის „მაგნოლიაც“. მისი მიწის ფართში 250 000 აშშ დოლარი გადავიხადე. იმ პერიოდში ის მიწა ქალაქის განაპირას მდებარეობდა. დღეს იქ „თეთრი მაგნოლია“ დგას, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ძვირადღირებული შენობა საქართველოში. როცა სააკაძის ქუჩის I კორპუსი „დექსუსმა“ და თბილისის მერიამ დაანგრიეს, კორპუსის მენაშენეები, რომლებსაც 2 400 000 აშშ დოლარი ჰქონდათ გადახდილი, სწორედ ჩემს მიერ ნაყიდ მიწის აქტივებზე გადავიყვანე. პროკურატურა ამ ვითარებას ისე აფასებს, როგორც იურიდიულ დოკუმენტს. მართალიცაა, რადგან მედავება, რატომ არ მოხმარდა ეს აქტივი სააკაძის ქუჩას. ამას სასამართლო დაადგენს — შეუძლებელი იყო, სააკაძის ქუჩის I კორპუსს მოხმარებოდა, რადგან შენობა მერიამ და „დექსუსმა“ დამინგრია. სულ ეს არის ბრალეულობის თემა. ვერავის გავამტყუნებ — ვერც პროკურატურას, ვერც მოსახლეობას და ვერც საკუთარ თავს. ძალიან მძიმე ბრალდებაა, რაც საკმაოდ სერიოზულ სასჯელს მოიცავს — 11-წლიან პატიმრობას და რომ გითხრათ, არ ვნერვიულობ-თქო, მოგატყუებთ.

**— პროკურატურის მიერ გაშიფრულ სქემაში მითითებულია თანხები, რომლებიც სხვადასხვა ბანკში გადარიცხეთ თქვენ და თქვენმა დამ. ჩამოთვლილია, რომ თქვენს სახელზე 33 კომპანიაა რეგისტრირებული, რუსუდან კერვალიშვილის სახელზე კი — 7, ეს ყველაფერი რას ნიშნავს?**

— მე, როგორც „ევრაზიის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, უფლება მქონდა, 5% პირდაპირ „ევრაზიის“ ბალანსზე ამეღო. ეს სადავო თემაც კი არაა და ასეც უნდა ყოფილიყო. როდესაც „ცენტრ პოინტი“ ბინებს ყიდდა, ყველა მაკლერს საშუამავლო 6%-ს აძლევდა. თუ ჰოლდინგში შემავალი მაკლერები ყიდდნენ, მათაც უხდიდა. ზოგ შემთხვევაში, ასტრონომიულად დიდი შემოსავლები მქონდა ამ პროცენტებიდან, იმდენად დიდი რაოდენობის ბინები იყიდებოდა. აქამდე დაახლოებით, 35 სახლი ავაშენე, იქ არაფერს ვფლანგავდი და ხომ უნდა ნახონ, რა მოხდა რეალურად! ვერაფრით გეტყვით, რომ უზარმაზარი შემოსავლები არ მქონდა და არც შეიძლება, არ მქონოდა. ახლავე ჩამოგითვლით, რომელ შპს-ებს გულისხმობს ძიება: „ხოშარაული“, „მაგნოლია“, „დიდი დიღომი“, „სააკაძე“, „ინვესტი“, „მარიჯანი“, „ღრმაღელე“, „ლუბლიანა“, „ბაკურიანი“, „თეთრი სახლი“, „ჯიქია“, „კრწანისი“, „დაკიდებული ბაღები“, „რობაქიძე“, „ლიკანი“, „ვენეცია“, „ყიფშიძე“, „ბაგრატიონი“, „ნინოშვილი“, „ჭავჭავაძე“, „წყნეთი“, „ქობულეთი“, „ავლაბრის ვარდი“, „გორი“, „პუშკინი“, „თამარაშვილი“, „ფოთი“, „მზიური“, „მედიკები“, „ზემო წყნეთი“, „თბილისის ზღვა“, „აღმაშენებელი“, „ლესელიძე“, „თავისუფლების მოედანი“, „გუდაური“. რასაკვირველია, ამ ანგარიშებზე ფული დევს, რადგან თითოეულ მათგანს საკუთარი მყიდველი ჰყავს. აქ პირდაპირ წერია, რომ აქტივები — 94 000 000 აშშ დოლარი, ხოლო გასაწერი ხარჯები — 78 000 000 აშშ დოლარია. ამ წუთში 16 000 000 აშშ დოლარის მოგებაში ვარ, რადგან ეს მსხვილი ბიზნესია, რომელიც აბსოლუტურად თვითკმარია. ყველა ობიექტის მშენებლობა დავიწყე ახლა. ყველაფერს ვაშენებ და გარწმუნებთ, მთლიანი რეზერვი რომ შემოვიდეს, სრულიად საკმარისი იქნება. მაგალითად, „მარიჯანზე“ სამი ფილა მაქვს დასასხმელი, სამი, 600 კვ. მეტრის ფილა. მხოლოდ 6 000 აშშ დოლარი შემომივიდა, გეგმური შემოსასვლელი 180 000 აშშ დოლარის ნაცვლად, მაგრამ მე მაინც ვაშენებ. „დაკიდებული ბაღების“ წინა კორპუსში შემოსასვლელია 500 000 აშშ დოლარი, არადა მხოლოდ 15 000 აშშ დოლარი შემოიტანეს, ამასაც ვაშენებ. „კრწანისში“ ახლა დავიწყე მშენებლობა და ცხადია, ბათუმის ფულს ვახმარ, „ღრმაღელეში“ გადავაკეთე პროექტი, რომელსაც „დიდი დიღმის“ ფულს ვახმარ, გასაოცარი არაფერი ხდება, ჩვეულებრივად ვმუშაობ. ჩემი კომპანიის მთლიანი თანხების მოძრაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ მიწა მეყიდა, პირობითად, 100 აშშ დოლარიანი მიწა კი 2 000 000-3 000 000 აშშ დოლარი ხდებოდა.

*დასასრული მე-5 გვერდზე*

---

თავდაცვა

# ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული 4 ათასზე მეტი ჯარისკაცის ოჯახი 500-ლარიან პენსიას მიიღებს

*მე-3 გვერდიდან*

**— აქამდე კომპენსაციას მხოლოდ მარჩენალდაკარგული ოჯახები იღებდნენ. ახლა თითოეული ოჯახი მიიღებს?**

— დიახ. ოჯახის წევრებზე თანხა პროპორციულად დანაწილდება, რაც ასევე კანონმდებლობით დარეგულირდება. ოჯახის თითოეული წევრი, ცხადია, 500-500 ლარს ვერ მიიღებს, ამიტომ ოჯახი თავად გადაწყვეტს და შეთანხმდება, ეს 500 ლარი აიღოს მხოლოდ მეუღლემ, მხოლოდ დედამ, ეს თანხა ორად გაიყოს თუ ასე შემდეგ.

**— რამდენ დაღუპულ მეომარზეა საუბარი და რა უჯდება გაზრდილი კომპენსაციების გაცემა სახელმწიფოს?**

— საუბარია 4 000-ზე მეტ ადამიანზე და სავარაუდოდ, სახელმწიფო 29 მილიონ ლარს დახარჯავს! საერთოდ, ამ თანხას დახმარებას არ ვუწოდებ. ამ ადამიანებს ჩვენი დასახმარებელი არაფერი სჭირთ, უბრალოდ ვცდილობთ, დაღუპული მეომრების ოჯახებს ის მინიმუმი გავუკეთოთ, რაც შეგვიძლია და ამით შესაბამისი პატივი მივაგოთ.

**— რაკი სახელმწიფოს დამოკიდებულებაზეა საუბარი, ომის ინვალიდებსა და ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსნებს პენსია როდის და რამდენით გაეზრდებათ?**

— უკვე მიღებულია კანონი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებისა დ შს სამინისტროს ძალოვან თანამშრომლებს შეეხება: ყოფილი მომსახურეები, ვინც 20 ან მეტი წელი ემსახურა ქვეყანას, ასევე გაზრდილ პენსიას მიიღებენ. ეს თანხა ჯერ 300 ლარამდე, მოგვიანებით კი, უფრო გაიზრდება. რაც შეეხება ვეტერანებს და მათ პრობლემებს, ამ ადამიანთა რიცხვი ძალიან დიდია, საუბარია 70 000-მდე კაცზე — ზოგს ჯანმრთელობის პრობლემა აწუხებს, ზოგს — უმუშევრობა. მათ სხვადასხვა სოციალური შეღავათის მიღება სურთ... გააზრებული გვაქვს, რომ ეს ადამიანები მზად იყვნენ, სამშობლოსთვის თავი გაეწირათ. მათზე ზრუნვის ვალდებულება გვაქვს, მაგრამ შეზღუდული რესურსები პრობლემას გვიქმნის, ადეკვატური პატივისცემა გამოვხატოთ მათ მიმართ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ამ პრობლემებზე მუშაობა დავიწყეთ — მალე ჩამოყალიბდება ვეტერანთა სამსახური.

**— რომელ სამინისტროს დაექვემდებარება ეს უწყება და ამუშავდა თუ არა ვეტერანობის დამდგენი კომისია?**

— ეს უწყება თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არ იქნება! ამიტომ, ჯერ წინ არ გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ იგი დამოუკიდებლობის მეტ ხარისხს მიიღებს და შესაბამისად, მეტ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებასაც აიღებს. ვეტერანთა სტატუსის საკითხი, ასე თუ ისე, დარეგულირებულია, თუმცა მას მერე, რაც ეს სამსახური ჩამოყალიბდება, გადახედვა კვლავ აუცილებელი იქნება. ეს სამსახური იმაზეც იმუშავებს, ვის რა სოციალური შეთავაზება გავუკეთოთ. ახლა შემიძლია ის გითხრათ, რომ დეპარტამენტი 2013 წელს შეიქმნება!

# პრემიერის მოწოდება და ნაციონალების პროვოკაციული გეგმა



**რატომ ალაპარაკდა ბოკერია დემოკრატიის საფრთხეებზე და როგორ აპირებს სააკაშვილი ვილნიუსის სამიტზე პრეზიდენტის რანგში დასწრებას**

ნინო კომახიძე
599-95-33-16

10 ივლისს პრემიერმა წინასარჩევნო მიმართვა გაავრცელა. ივანიშვილმა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდა მასმედიას, მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და განსაკუთრებით, ძალოვან სტრუქტურებს.

როგორც ჩანს, დგინდება ახალი სტანდარტები, რომლის მიხედვითაც მმართველი პოლიტიკური ძალა ჩაყენებული იქნება ზუსტად იგივე პირობებში, როგორშიც სხვა ყველა დანარჩენი საარჩევნო სუბიექტია. ამის მზაობა, პრემიერის შემდეგ, მმართველი გუნდის არაერთმა ლიდერმა გამოთქვა. ამ ფონზე, იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ დასრულდა მრავალწლიანი ტრადიცია, როდესაც ყველაფერი ეპატიებოდა მმართველ პოლიტიკურ გუნდს, ხოლო ოპოზიციას, რომლის წინააღმდეგაც ჩართული იყო ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, არ ეძლეოდა ნორმალური საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება.

იმის მიუხედავად, რომ საკუთარი კანდიდატის გამარჯვების სურვილი საკუთარ მიმართვაში არც ივანიშვილს დაუმალავს, ალბათ, იმაზე არავინ დავობს, რომ „ოცნებისთვის" უფრო დიდ გამოწვევასა და სირთულეს გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტება კი არა, რეალურად, დემოკრატიული და 2012 წლის არჩევნებზე უკეთესი არჩევნების ჩატარება წარმოადგენს. ამის შესახებ ივანიშვილიც ღიად საუბრობს: **„ჩვენს პოლიტიკურ გუნდს აქვს ამ არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების ამბიცია და სურვილი, მაგრამ ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამბიცია და სურვილი — საქართველოში ჩატარდეს სამაგალითოდ სუფთა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები".**

სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთი პირობა, მმართველი გუნდის მიერ სახელისუფლო რესურსის გამოყენებაზე უარის თქმაა. ივანიშვილი ამის მზაობასაც გამოთქვამს. მეტიც, თანაგუნდელებს მოუწოდებს, უარი თქვან წინა ხელისუფლების ამ მანკიერ ტრადიციაზე. ალბათ, პრემიერის ამ მოწოდების გამოძახილიცაა ის, რომ უკვე გავრცელდა ინფორმაცია — კანდიდატი მარგველაშვილი განათლების მინისტრის პოსტს მალე დატოვებს და ამით ყველას დაანახებს, რომ სახელისუფლებო რესურსის გამოყენებას ივანიშვილის გუნდი არ აპირებს.

არჩევნების ძალოვნების თანხლებით ჩატარების მანკიერი ტრადიცია მასმედიაზე უკეთ, ალბათ, არავის ახსოვს: დროშის ტარებით შეიარაღებული კოორდინატორები, „ბიღბიანების" მიერ გატაცებული საარჩევნო ყუთები, ამა თუ იმ პრობლემურ რაიონში სამთავრობო ესკორტით ჩაბრძანებული, ამჟამად დაპატიმრებული ექსპრემიერი თუ მინისტრთა კაბინეტის წევრები, „მომხრეების" სიებით მორბენალი გამგებლები და ვინ მოთვლის, რამდენი უხეში დარღვევა ვიხილეთ ყველა წინა და მათ შორის, ვითომ დემოკრატიულად ჩატარებულ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც, თუმცა ეს „ვითომდემოკრატია" დღეს მმართველ გუნდს ხელს რომ არ აძლევს, ფაქტია და პრემიერიც, პირველ რიგში, საკუთარ თანაგუნდელებსა და ძალოვან უწყებებს მიმართავს: **„ამ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დავამტკიცოთ, რომ სამაგიეროს გადახდა არ არის ჩვენი პრინციპი... მივმართავ პროკურატურისა და პოლიციის ორგანოებს — მკაფიოდ დასაბუთებული უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, თავი შეიკავონ დანაშაულში მხილებულ იმ პირთა უფლებების კანონიერი შეზღუდვისა და დაკავებისგან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიაში".** ივანიშვილის „მითითებას" „ოცნებაში" დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ქვეყნის მთავარმა პროკურორმა, **არჩილ კბილაშვილმა** მიმდინარე პოლიტიკური პერიპეტიების მიუხედავად, პრემიერს უპასუხა, თქვენი მოწოდება აუცილებლად შესრულდებაო: **„მაქსიმალურად ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ეს ყოველივე პოლიტიკურ კამპანიაში ჩართვად არ იყოს აღქმული და მას ზეწოლის იარლიყი არ დაედოს".** კბილაშვილს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანიც** დაეთანხმა. მეტიც, მისი თქმით: **„წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პირების დაკითხვებისა და დაკავებისგან თავშეკავება უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებში აქამდეც იყო და ამ კომისიას ბატონი გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს".** არაერთი ექსპერტის მტკიცებით, ამ საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდობიანად, კითხვის ნიშნების გარეშე ჩატარება ხელს სწორედ ნაციონალურ მოძრაობას არ აძლევს. **„მივმართავ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც დანაშაულებრივი სისტემის მონაწილენი არ ყოფილან — გამოიყენეთ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც უკანონობასთან გამიჯვნისა და ღირსეული პოლიტიკური მომავლის შანსი",** — ივანიშვილის მიმართვის ეს ნაწილი უკვე საპარლამენტო ოპოზიციადქცეულ ნაცმოძრაობას ეკუთვნის, რომლის წარმომადგენელმა **გიგა ბოკერიამ** ივანიშვილ-წულუკიანს ერთდროულად უპასუხა და ექსპერტების ეჭვი, ნაციონალების მხრიდან არჩევნების ხელისშეშლის შესახებ, კიდევ უფრო გაამძაფრა. უშიშროების საბჭოს მდივნის კომენტარში პოლიტიკური მუქარის ამოკითხვაც შეიძლება: **„საერთო ფონი საკმაოდ ძალადობრივია. ვნახეთ არაერთი ძალადობის ფაქტი უმცირესობის წინააღმდეგ. მოძალადეები ან საერთოდ არ ისჯებიან, ან — სიმბოლურად. ამ ფონზე, სამართლიანი არჩევნების ჩატარება პრობლემური იქნება. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მომავალ არჩევნებს. იმედია, პრემიერის ამ განცხადებას აღნიშნული კურსის რეალური ცვლილება მოჰყვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე ძალიან რთულ წინასაარჩევნო პროცესთან გვექნება, რომელიც ქართულ დემოკრატიას საფრთხის წინაშე დააყენებს".** ბოკერიას წინასაარჩევნო რიტორიკას გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი **შტეფან ფულე** არ ეთანხმება, რომელმაც პრემიერს დადებითი განწყობა ბათუმში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე დაუფიქსირა: **„გასული წლის ოქტომბერში, პირველად საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლება დემოკრატიის ფარგლებში შეიცვალა. ეჭვიც არ მეპარება, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ზუსტად ასე ჩატარდება და საქართველოში დემოკრატია კიდევ უფრო გაძლიერდება".**

ბოკერიას მხრიდან ქართული დემოკრატიის საფრთხეებზე წინასწარ გაკეთებული განცხადება ნაციონალების მხრიდან მოსალოდნელ პროვოკაციებს ხომ არ ნიშნავს?! კიდევ უფრო აქტუალური ის კითხვაა, საარჩევნო მანიპულაციებში გაწაფული ნაციონალები ხელოვნურად ხომ არ გააჭიანურებენ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას, რათა ვილნიუსის სამიტს ნოემბერში პრეზიდენტის რანგში კვლავ მიხეილ სააკაშვილი დაესწროს? — რატომაც არა, თუკი საარჩევნო პროცესს მთელი რიგი სასამართლო დავებითა და სარჩელებით გაწელავენ, ან საკუთარ მომხრეებს უამრავი პროცედურული დარღვევისკენ მოუწოდებენ, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამ, შესაძლოა, დეკემბრის დასაწყისამდე გადაინაცვლოს, ვილნიუსის სამიტი კი საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის ჩაბრძანებას ნამდვილად ვერ დაელოდება. მით უმეტეს, სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ სამიტზე დასწრებას პრეზიდენტის რანგში თავად აპირებს. რამდენად რეალურია ეჭვი ნაციონალების ამ გეგმის შესახებ? ამ კითხვას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **ლევან ბერძენიშვილი** ამგვარად პასუხობს: **„სააკაშვილი პრეზიდენტის როლში ვერ წარსდგება ვილნიუსის სამიტზე. ძალიან კარგად მესმის ხელისუფლების ზოგიერთი წევრის წინდახედულება, მაგრამ ასეთი საფრთხე არ არსებობს. არსებობს მარტო ერთი საფრთხე — როცა სააკაშვილი გაიგებს, რომ 27 ოქტომბერი დადგა, შეიძლება, თავს რამე დამართოს. მას ვილნიუსის სამიტიც ფეხებზე ჰკიდია და საქართველოც. უბრალოდ, უმრავლესობაში კარგი ხალხია და იმის დაჯერება არ უნდათ, რომ სააკაშვილი სკამს ასე მიეჯაჭვა — მას არ იცნობენ, ვერ ხსნიან მის საცოდაობას, მე კი კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ სკამს 3-4 დღეც ჩაებღაუჭება. რაც შეეხება გიგა ბოკერიას განცხადებას — დღეს ბოკერია საქართველოს ისტორიაში იმდენად უმნიშვნელო პიროვნებაა, მის განცხადებებს ყურადღებასაც არ მივაქცევდი. მას რომ იმ სამსახურზე გაეკეთებინა კომენტარი, რომელსაც ხელმძღვანელობს, კიდევ მესმის. ძალიან მაინტერესებს, როდის იყო გიგა ბოკერია ან არჩევნებში ან პოლიტიკაში ჩახედული?! ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კაცი ოდესღაც რაღაცას წარმოადგენდა?!"**

პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილის** შეფასება კი, ასეთია: **„სად ნახა გიგა ბოკერიამ დემოკრატიის არსებობა მისი ხელისუფლების პირობებში? სად და როდის მოახერხა მასთან შეხვედრა?! როცა ასეთი თავშეუკავებელი კომენტარი კეთდება პრემიერის განცხადებაზე, იმის დასტურია, რომ სამართლიანი, მშვიდობიანი არჩევნები ნაციონალების გუნდის მშვიდ, მდუმარე დასამარებას ნიშნავს. ასეთი არჩევნები მათ ინტერესებში არ შედის, ამიტომ მათი აქტივისტებისგან საჩივრების არნახულ რაოდენობას უნდა ველოდეთ — მათი მიზანია, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია ნოემბრის ბოლომდე არ ჩატარდეს, რადგან კვლავ სააკაშვილი ყელყელაობს ვილნიუსის სამიტზე წასასვლელად! ეს თავადაც თქვა, შტეფან ფულეს თანდასწრებით. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის ხელოვნურად შეჩერების გარდა, ვილნიუსის სამიტში მონაწილეობის სხვა საშუალება არ გააჩნია. წინა არჩევნები სამართლიანად თავად მოვნათლეთ და საერთაშორისო შეფასებებს ავყევით. ახლა, შესაძლოა, ეს უკან მწარედ შემოგვიბრუნდეს... გულდასაწყვეტია, რომ ბატონმა პრეზიდენტმა მისი თანამდებობაზე ყოფნისას მატარებლის „გაჭენება" ყარსიდან ახალქალაქამდე ვერ მოასწრო. ჩანს, ვილნიუსის სამიტზე დასწრება რეალურად მიაჩნია, რაკი ეს ორჯერ თავად თქვა".**

# „ყველაფერი სასამართლოში გადაწყდება!"

*მე-4 გვერდიდან*

**— „დექსუსის" წარმომადგენლების დარღვევებზე საკმაოდ თავშეკავებულად საუბრობთ, ვინ გაიძულათ, ამ კომპანიასთან გაგეფორმებინათ ხელშეკრულება?**

— წინა ხელისუფლებამ არასწორი არჩევანი გააკეთა, როდესაც ეს ბიჭები აირჩია. არაკვალიფიციურები და მხოლოდ ფულის კეთებაზე ორიენტირებული კადრები იყვნენ, რამაც საბოლოოდ, ასეთი სკანდალი გამოიწვია. ვერ გეტყვით, რომ ვინმემ მაიძულა, რადგან ციფრებს ვხედავ. მაგალითად, 11 000 000 ლარს, რომელიც „თბილისის განვითარების ფონდიდან" გამოიტანა „დექსუსმა". თელავის „ინტურისტი" 1 ლარად გაყიდეს. ქონებას თავისი ფასი აქვს. არ შეიძლება მყიდველი კეთილსინდისიერი იყოს, რომელიც 12 000 კვ. მეტრის ფართობის თელავის „ინტურისტს" 1 ლარად იყიდის! გამყიდველი — „თბილისის განვითარების ფონდი" და მისი ხელმძღვანელი საბანაძე ხომ საშინელია, მაგრამ „დექსუსის" ირაკლი კილაურიძეც არანაკლებ დამნაშავეა. საბანაძე და კილაურიძე გარიგდნენ და ქონება 1 ლარად გაყიდეს. შესაძლოა, ამ საბუთებს ფაბრიკაციაც გააკეთეს. იცით, როგორ აფორმებდნენ ხელშეკრულებებს? ნოტარიუსთან მიდიოდნენ და შიდა ხელშეკრულებებს დებდნენ, ფულის ტრანზაქცია კი საერთოდ არ ჩანდა. ამის დიდოსტატები იყვნენ, მაგრამ გავოგნდი, როდესაც შევიტყვე, ბათუმში 7 500 000 ლარის ვალიც მქონია. ოთხშაბათს, 10 ივლისს დასრულდა სასამართლო პროცესი და ვალი გაბათილდა. „თბილისის განვითარების ფონდიც" მიხვდა, რა აქვს გაკეთებული, ამიტომ თვითონვე გააბათილა ვალი. არც ერთ კონკურსში არ გამიმარჯვია და „თბილისის განვითარების ფონდმა" 11 000 000 ლარი როგორ მაჩუქა? თუ 11 000 000 ლარი მაჩუქეს, მაშინ სამუშაოები დასრულებული რატომ არ არის? როგორ შეიძლება, ფონდიდან მიღებული 11 000 000 ლარიდან, 5 000 000 ლარი იმავე დღეს გადაურიცხო მერიას, დარჩენილი 6 000 000 ლარიდან კი 4 000 000 ლარი ხელფასად დაირიგო?!

**— მერიის მაღალჩინოსნები დაკავებულები არიან, რომლებმაც „თბილისის განვითარების ფონდის" თანხები გაფლანგეს. „ცენტრ პოინტის" სკანდალი ამ თემის გაგრძელებაა, რომ გიგი უგულავაზე გავიდნენ? გიგი უგულავა ხომ არ გებრძვით?**

— არ ვიცი, ბევრ რამეზე მაქვს ეჭვი, მაგრამ ყველაზე კარგ ვარიანტს ავიღებ. ალბათ, უფრო შურდათ ჩემი, რადგან ცარიელი ხელებით ვაშენებდი. ჩანს, ფიქრობდნენ, რომ თავად უკეთესად ააშენებდნენ. დადასტურებით არაფრის თქმა არ შემიძლია. მხოლოდ ციფრებზე ვსაუბრობ და იმ ფაქტებზე, რაც ზუსტად ვიცი. „ნინოშვილის ბაზარი" კონკურსში მოვიგეთ, მაგრამ ვილაცამ პრეზიდენტის განკარგულება დამალა. როგორ შეიძლება, პრეზიდენტის განკარგულება დამალო და საკრებულოს არასწორი ინფორმაცია მიაწოდო? საბოლოოდ, ეს ყველაფერი ერთი სათავისკენ მიდის.

**— „ვერსიაში" უკვე ვწერდით, რომ გუდაურის სასტუმროებსა და აღმაშენებლის მოედანზე მდებარე ისტორიულ შენობას უგულავას ნათესავების კომპანიები ფლობენ, თქვენი ინტერესები აქ გადაიკვეთა?**

— აღმაშენებლის პროსპექტის რეაბილიტაცია უგულავას წარმატებული პროექტი გამოდგა. ჩანს, მადა გაეხსნა და საერთოდ დეველოპმენტი მოუნდა! ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, რადგან იგი თბილისის მერია. არავითარი მტკიცებულება არ გამაჩნია, მხოლოდ ის ვიცი, რომ საბანაძე და კილაურიძე გარიგდნენ. ვიცი, რომ სააკაძის ქუჩის კორპუსი დამინგრიეს, თელავის „ინტურისტი" გაყიდეს, ფოთის პროექტი გადამიგდეს, ლაგოდეხის პროექტი დამიკარგეს. ისიც ზუსტად ვიცი, რომ თუ სახელმწიფოს ჩინოვნიკები არ ჩაერეოდნენ, დაზარალებული მენაშენეები ძვირადღირებულ პლაკატებსა და კარვებს ვერ შეიძენდნენ. სულ მინდოდა ამ კითხვის დასმა — ვინ აფინანსებდა ჩემს დაზარალებულებს, რადგან არ არსებობს, მათ უკან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია არ იდგეს. ჩემს მენაშენეებს ძვირადღირებული პლაკატებისა და კარვების თანხა არ აქვთ!

**— ვისზე გაქვთ ეჭვი, ქალბატონო მაია?**

— ვისზეც უკვე ვისაუბრეთ, ზუსტად იმ ადამიანებზე!

„ცენტრ პოინტი ჯგუფის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, **რუსუდან კერვალიშვილი** „ვერსიასთან" მცირე კომენტარით შემოიფარგლა. მასაც ობიექტური გამოძიებისა და სასამართლოს იმედი აქვს: **„სამწუხარო ფაქტია, რომ დაზარალებული მოსახლეობა, დაზარალებული მენაშენეები არიან, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ელოდებიან ბინებით დაკმაყოფილებას. იმედი მაქვს, მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, კომპანია შეძლებს, ამ ადამიანების წინაშე თავისი ვალდებულებები შეასრულოს. ჩემი შემდგომი ნაბიჯი კი ასეთია, კარგად უნდა გავეცნო იმ მასალებს, რაც ამჟამად, ბრალის სახით წარგვიდგინეს. ყველას ვთხოვ, მაქსიმალურად შეიკავონ თავი აჟიტირებისგან, რათა კომპანიას მუშაობის გაგრძელებაში ხელი არ შეეშალოს".**

რუსუდან შელია
557-100-768

# გიორგი გუგავა: „ივანიშვილს საქართველო თავისი საბატონო ჰგონია, სადაც ოპოზიციასაც კი გააკონტროლებს“



**რატომ არ იცვლება საარჩევნო კანონმდებლობა საპრეზიდენტო არჩევნების წინ და ვისი ოცნებები ახდა პირველი ოქტომბრის შემდეგ? ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა „ვერსიასთან“ წინასაარჩევნო გარემოს აფასებს და საზოგადოებას საპრეზიდენტო კანდიდატების წარსულის გახსენებასაც ურჩევს.**

— დღეს საარჩევნო სისტემა იმაზე მეტად გაუარესდა, ვიდრე სააკაშვილის მმართველობის პირობებში იყო. კერძოდ, საარჩევნო კომისიებში თანაფარდობის პრინციპი ირღვევა: თუ მანამდე კომისიაში თითოეულ პარტიას მინიმუმ, ერთი წარმომადგენელი მაინც ჰყავდა, ახლა საარჩევნო ადმინისტრაცია მხოლოდ „ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის წევრებმა გადაინაწილეს. საარჩევნო სიების გამოსწორებაზეც არავის უზრუნია. არადა, კარგად გვახსოვს, საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიციის განცხადებები — ნაციონალები არჩევნებს სწორედ სიების საშუალებით აყალბებენო. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ ადამიანებმა პარლამენტში პრეზერვატივებისა და კოცნა-ხვევნის საკითხების განსახილველად მოიცალეს, საარჩევნო სიებისთვის კი დრო თურმე ვერ გამონახეს. პირიქით, სულ ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საარჩევნო სიაში ამომრჩევლების რაოდენობა გაიზარდა!

**— განმარტეთ, რაში სჭირდება კოალიციას საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბება, როცა საზოგადოებაში საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვთ?**

— მარტივია, „ოცნებები“ იმსხვრევა და ხელისუფლება დანაპირებს ვერ ასრულებს. პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მხოლოდ ხუხაშვილის, ხიდაშელისა და სხვა უსაქმურების ოცნებები ახდა. მილიარდერთა პარტიები სახელმწიფო დაფინანსებას იორმაგებენ და ეს ხდება ისეთ გაყვლეფილ ქვეყანაში, სადაც 70 ათასზე მეტი ბავშვი შიმშილობს. ხელისუფლების რეიტინგი ჯერ კიდევ სადავო საკითხია იმ ფონზე, როცა საქართველოში ეკონომიკური სტაგნაციაა, ერთი ქარხნის ასაშენებელი ბალავერიც კი არ გაჭრილა, სოციალური მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება, უმუშევართა რიცხვი იზრდება, საბაჟო შემოსავლები 30%-ით შემცირდა... სამართლიანობის აღდგენაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. სამაგიეროდ, ბიძინა ივანიშვილის კომპანიებმა, ბიზნესმენის პრემიერად მოსვლის შემდეგ, მილიარდიანი მოგება ნახეს! დიახ, სახელმწიფო ტენდერებში მხოლოდ ივანიშვილის კომპანიები იმარჯვებენ. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილს არსებული საარჩევნო კანონმდებლობა აწყობს, რათა არასაპარლამენტო პარტიებს გამარჯვების მინიმალური შანსიც კი არ მისცეს.

**— თქვენი ბრალდებების ფონზე, პრემიერ-მინისტრმა მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც არჩევნების წინ პარტიებისთვის კონკურენტული გარემოს შექმნას ითხოვს და ამბობს, რომ მომავალი არჩევნები ქვეყანაში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილების ყველაზე მკაფიო დემონსტრირება უნდა გახდეს.**

— სიყალბეა! პოლიტიკური ნება რომ არსებობდეს, საარჩევნო კანონმდებლობას შეცვლიდნენ და ყველა კანდიდატს თანაბარ გარემოში ჩააყენებდნენ. კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საარჩევნო შტაბები ორი თვით ადრე იქმნებოდა, ამ ეტაპზე კი, ოთხი შტაბი შეიქმნა, რომლის კომისიის წევრებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 22 მილიონი ლარი უკვე გამოიყო. ეს იმას ნიშნავს, რომ „ოცნება“ არჩევნებამდე საკუთარ აქტივისტებს დაასაქმებს და ფულს საბიუჯეტო რესურსიდან გადაუხდის. ბიძინა ივანიშვილი ხვდება, რომ მისი რეიტინგი კლებისკენ მიდის, ამიტომ „პლასტილინის კაცის“ პრეზიდენტად დასმა პირველივე ტურში შეიძლება გართულდეს. ახლა აუცილებელია ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, რათა საზოგადოებამ, ხელისუფლებაში შევარდნაძისა და ვარდების რევოლუციის ნარჩენების სრულად მოყვანა არ დაუშვას.

> **თუ ჩვენ მოკლე მეხსიერება გვექნება და გუშინდელ ნაჭამ ტყემალს არ გავიხსენებთ, რომელმაც კბილი არაერთხელ მოგვკვეთა, ქვეყნის პერსპექტივა აბსოლუტურად ბუნდოვანი გახდება. გავიხსენოთ, რას წარმოადგენდნენ დღევანდელი საპრეზიდენტო კანდიდატები შევარდნაძის მმართველობის დროს ან როგორ იდგნენ ვარდების რევოლუციის ბარიკადებზე! გიორგი მარგველაშვილი ვარდების რევოლუციის დროს მთაწმინდაზე დაწანწალებდა და ღაღადებდა — ხელისუფლებაში სააკაშვილი უნდა მოვიდესო. ცხოველებისთვის განკუთვნილი ქატოს პურის გემოც ნუ დაგვავიწყდება, რომელსაც ერთ-ერთი კანდიდატის ოჯახი გვაჭმევდა! ნუ გვგონია, რომ ყველაფერში დამნაშავე მხოლოდ ერთი გიჟი სააკაშვილი იყო!**

ამ ასაკში ადამიანები არ იცვლებიან. თუ საზოგადოება ამ ყველაფერზე დაფიქრდება, მიხვდება, რომ დღეს ერთადერთი მიმართულებით გამოკვეთილი ლიდერი მხოლოდ შალვა ნათელაშვილია!

**— თუ გიორგი მარგველაშვილის წარსულს იხსენებთ და მინიშნებით ნინო ბურჯანაძის ოჯახზეც საუბრობთ, შალვა ნათელაშვილის განვლილი პოლიტიკური გზაც გაიხსენეთ, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი დაუთმო.**

— სიცრუეა! მსგავსი ხმები მერაბიშვილის კანტორამ შეგნებულად დაყარა. იმ საკრებულოს წევრი მეც ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, რეალურად, რა მოხდა. ჩვენ უმცირესობაში ვიყავით, ასე რომ, შალვა ნათელაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე ვერ გახდებოდა. ლეიბორისტული პარტია იყო ერთადერთი ძალა, რომელიც ვარდების რევოლუციას დაუპირისპირდა, სწორედ ჩვენ შევწირეთ სააკაშვილის რეჟიმს პარტიული რესურსი, ყველა ახლობელი სამსახურებიდან გაყარეს... დანარჩენი პარტიები, როგორც კი კრიტიკული პოლიტიკური ვითარება იქმნებოდა, დროშებსა და პარტიის ფერებს ცვლიდა და ხელისუფლებაში მოსულ ყველა ახალ ძალას ერგებოდა. მათი უმრავლესობა დღეს კოალიციაშია. მაინტერესებს, რატომ გამოუშვეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლები, რომლებსაც 80 ათასი ლარის მიტაცებაში ედებოდათ ბრალი? თინა ხიდაშელმა დააბაკუნა ფეხები ამ საქმეში მე ვიყავი ჩართულიო? ამ საქმის გამოძიებაც კი აღარ გაგრძელებულა! ეს არის ის საოცნებო დემოკრატიული საქართველო, რომლითაც ბიძინა ივანიშვილი ევროპის გაოცებას აპირებდა? ამ დროს კი, ბიძინა ივანიშვილი ხალხს შეურაცხყოფას აყენებს და პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ თქვენ განვითარებაზე ვიზრუნებო, გვეუბნება. ეს ადამიანი „შერეკილების“ პერსონაჟს მაგონებს, რომლისთვისაც ბროწეულის ოყნა უნდა გავამზადოთ. მას აკვიატებული აზრები აწუხებს და ვერ ხვდება, რომ იმ ერთან აქვს საქმე, რომელსაც 2500-წლიანი კულტურა გააჩნია. მისი განცხადებები აბსოლუტურად მიუღებელია!

**— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან მალე წასვლის შესახებ არჩევნებამდეც ვიცოდით. სამოქალაქო სექტორში რომ გადავიდეს, მიუღებელია?**

— პოლიტიკიდან წასვლით ბიძინა ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის. მას ჰგონია, რომ თავად დანიშნავს პრეზიდენტს, გამგებლებს და პოლიტიკურ ვითარებას თავისი რეზიდენციიდან გააკონტროლებს ისე, რომ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე პასუხს მას არავინ მოსთხოვს. ხვდებით, რა ამბიციებთან გვაქვს საქმე? კარგად გამოჩნდა, რა იყო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის ძირითადი მიზანი. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ნაციონალური მოძრაობა უზარმაზარ ფულსართმევდა, მინიმალური „სტავკა“ 250 მილიონი იყო. ნაციონალებისთვის მიცემული ფული მან სრულად დაიბრუნა. სხვა ახსნა არ აქვს იმას, რომ ქვეყანაში შექმნილი უკიდურესი გაჭირვების ფონზე, მხოლოდ მისი ბიზნესი ყვავის. კი ბატონო, წავიდეს და მის მიერ ხელისუფლებაში მოთრეული ყველაზე ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური ძალებიც თან წაიყვანოს, თუმცა მანამდე საპარლამენტო არჩევნებიც უნდა დაინიშნოს, რადგან დღევანდელი პარლამენტი სახელმწიფო ინტერესებს არ გამოხატავს.

**— ნაციონალები უკვე საუბრობენ პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან მიხეილ სააკაშვილისა და გენმდივნის პოსტიდან მერაბიშვილის გადაყენებაზე. მსგავსი რეორგანიზაცია არ იქნება პარლამენტში ახალი ოპოზიციური ძალის შექმნის წინაპირობა თუ როგორც პრემიერი აანონსებს, თავად კოალიციაში გამოჩნდება ხელისუფლების ოპონენტი პარტიები?**

— ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ სივრცეში არსებობა აზარტს დიდი ხანია აღარ იწვევს. მათი პოლიტიკური ცხოვრება დასრულდა! რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პრემიერს საქართველო მისი საბატონო ჰგონია, სადაც ოპოზიციასაც კი თავად დანიშნავს და გააკონტროლებს. ოპოზიციის მართვა მიხეილ სააკაშვილმაც სცადა, მაგრამ ყველაფერი თავზე დაემხო, იგივე ელის ბიძინა ივანიშვილსაც. მეტიც, ივანიშვილმა საკუთარი სახე მიხეილ სააკაშვილზე ბევრად ადრე გამოავლინა. გაფრთხილებთ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დააქცევს და ქვეყანა ოლიგარქიული კლასის მონობაში მოექცევა!

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტი მზად არის, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ჩამორთმეული მოქალაქეობა ისევ მიანიჭოს



სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო, ბოლო პერიოდში საქართველოს მოქალაქეობა 10 ათასზე მეტ პირს შეუწყდა. პრეზიდენტის პრესსპიკერის, მანანა მანჯგალაძის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილი მზადაა, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ჩამორთმეული მოქალაქეობა ისევ მიანიჭოს.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გადმოგზავნილი დასკვნების საფუძველზე, ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოს 10 ათასზე მეტ მოქალაქეს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით. ეს პირები წარმოადგენენ, როგორც ეთნიკურ ქართველებს, ისე საქართველოს ეთნიკიურ უმცირესობას. საქართველოს კანონმდებლობით, მოქალაქეობის შეწყვეტის შემდეგ, მათ შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართონ პრეზიდენტს. განცხადება უნდა წარადგინონ იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოში (იუსტიციის სახლში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ერთეულში), საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულოში. განცხადებების წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც. ჩვენი მიზანია, ისინი დამატებითი სირთულეების წინაშე არ აღმოჩნდნენ საქართველოს მოქალაქეობის იძულებით დატოვების გამო, ამიტომ საქართველოს პრეზიდენტი გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნულ პირებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიანიჭოს მოქალაქეობა.

### შსს-მ ცოლის მკვლელობაში ბრალდებული პირი დააკავა



გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1941 წელს დაბადებული თამაზ გ. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ლანჩხუთში დააკავეს. ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთში მცხოვრებმა თამაზ გ-მ, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, გვიან ღამით, მეუღლეს სანადირო თოფით გულ-მკერდის არეში ერთი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. 1946 წელს დაბადებულ მაყვალა გ. ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებულის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან მეორე გასროლის შედეგად ფეხის არეში მსუბუქად დაიჭრა მისი რძალი, 1971 წელს დაბადებული შორენა კ. სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან დანაშაულის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე სსსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

***„ინტერპრესნიუსი“***



## ირაკლი შიხიაშვილი ქართუ ბანკთან დაკავშირებით ნიკოლოზ მელიას განცხადებას უარყოფს

ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი ქართუ ბანკთან დაკავშირებით ძველი თბილისის რაიონის გამგებლის, ნიკოლოზ მელიას განცხადებას უარყოფს. მისი თქმით, სიცრუეა, თითქოს ბანკი „ქართუს“ გაკოტრებაში მას წვლილი მიუძღვის. საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარის განცხადებით, მას ამ საქმესთან კავშირი არა აქვს და საგამოძიებო ორგანოებისათვის ამასთან დაკავშირებით არც ჩვენება მიუცია.

ირაკლი შიხიაშვილის თქმით, საკრებულოში უმრავლესობის დაკარგვით ნაცმოძრაობა აგონიაშია ჩავარდნილი, რის გამოც, ცილისწამება დაიწყო.

ირაკლი შიხიაშვილმა ნიკოლოზ მელიას უგულავას „მელია ბაჭია“ და ადეიშვილის ლაქია უწოდა. ასევე, აღნიშნა, რომ შიხიაშვილი და მისი კოლეგები საკრებულოში დაასრულებენ გიგი უგულავასა და მისი „მელია ბაჭიების“ ტალახის სროლასა და უზნეო პარპაშს.

*„ინტერპრესნიუსი“*



## 16 მილიონი ევრო სასაზღვრო პოლიციისა და საბაჟოს განვითარებას მოხმარდება

ევროკავშირის ახალი ინიციატივის „მეტი მეტისთვის“ ფარგლებში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა და ევროკომისარმა გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ საფინანსო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმება საქართველოსთვის 16 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს. ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ ეს დახმარება მიმართული იქნება საქართველოში საზღვრის მართვისა და მიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების შემდგომ განვითარებაზე. მხარდაჭერა კონცენტრირებული იქნება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, საპატრულო პოლიციის, სანაპირო დაცვის სამსახურის, პოლიციის აკადემიისა და საბაჟო სამსახურის შესაძლებლობათა განვითარებაზე. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს, როგორც საზღვრის კონტროლისთვის განკუთვნილი სპეციალური აღჭურვილობის და დამხმარე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას, ასევე შემოსავლების სამსახურისადმი ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების შემუშავებას. მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ტექნიკურ მხარდაჭერას მიიღებენ მიგრაციის სახელმწიფო კომისია და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „საქართველოს ბანკი“ და ენერგეტიკის განვითარების ფონდი 7 ჰესს ააშენებენ



## კახი კალაძემ და ირაკლი გილაურმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, 7 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება —ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს, 10 ივლისს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ და „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა აუწყეს. ამავე დღეს, მათ ხელი მოაწერეს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა (GEDF) და „საქართველოს ბანკის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე აპირებს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. ჰესების ჯამური დადგმული სიმძლავრე 180 მეგავატია, ხოლო პროექტების საერთო საინვესტიციო ღირებულება — 300 მილიონი დოლარი.

მემორანდუმის თანახმად, პირველ ეტაპზე (12-14 თვე), „საქართველოს ბანკის“ თანადაფინანსებით, ჰესების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა მოხდება, რაც ჰიდროლოგიურ, გეოლოგიურ, გარემოზე ზემოქმედების, ეკონომიკურ და ადგილობრივი სოციალური ეფექტის დეტალურ შეფასებას გულისხმობს. ამ პერიოდში დაფინანსების წყაროებში „საქართველოს ბანკის“ წილი 85%-ია, ხოლო ენერგეტიკის განვითარების ფონდის მონაწილეობა — 15%.



პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, იგეგმება ყველა ეკონომიკურად მომგებიანი ჰესის მშენებლობა, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ და მსგავსი პროექტებისთვის მსოფლიოში მიღებულ გარემოს დაცვისა და სპეციალური ზემოქმედების სტანდარტებს.

ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, საბანკო და ენერგოსექტორს შორის მსგავსი თანამშრომლობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა საქართველო უახლოეს მომავალში გახდეს ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანა და განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტიც.

**კახა კალაძე: „მოხარული ვარ, რომ ხელს ვაწერთ ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას, ენერგეტიკული განვითარების ფონდსა და „საქართველოს ბანკს“ შორის. უაღრესად მნიშვნელოვანია ამგვარი თანამშრომლობა საბანკო და ენერგოსექტორს შორის. მისასალმებელია, რომ საბანკო სექტორის ერთ-ერთმა უმსხვილესმა მოთამაშემ პრიორიტეტად ენერგეტიკა აირჩია და ამ კუთხით სამინისტროსთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. „საქართველოს ბანკთან“ შეთანხმებას მივაღწიეთ 7 ჰიდროელექტროსაგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჯამური ინვესტიცია 300 მილიონი დოლარია და ამ პროექტის განხორციელება მოგვცემს შესაძლებლობას, შეიქმნას ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალი მთავრობისთვის, რადგან დასაქმება, ჩვენი პრიორიტეტია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობით, ქვეყნისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებეთ“.**

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ენერგეტიკის მინისტრს, თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა და ისიც აღნიშნა, რომ ჰიდროენერგიის ექსპორტს საქართველოში დიდი პერსპექტივა აქვს.

**ირაკლი გილაური: „საქართველოს ბანკს“ აქვს მრავალწლიანი ურთიერთობა თავის ინვესტორებთან. ჩვენ ვხედავთ დიდ დაინტერესებას მათი მხრიდან. „საქართველოს ბანკი“ საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, რადგან ეს უმნიშვნელოვანესია, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის. ჩვენ შევისწავლით ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და ჰესების გარემოზე ზეგავლენას. საუბარია მცირე და საშუალო ჰესებზე. 300 მილიონი საკმაოდ დიდი თანხაა და აღნიშნული ინვესტიცია უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში განხორციელდება, რადგან არც ერთი ჰესის მშენებლობა 3 წელიწადზე მეტხანს არ გრძელდება. საქართველოს მოსახლეობა წარმოებულ ელექტროენერგიას უახლოეს მომავალში დაინახავს“.**

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ, **არჩილ გაჩეჩილაძემ** კი განმარტა, რომ რამდენიმე ხნის წინ მათ გააკეთეს ჰიდროენერგეტიკული კვლევა, რომელიც გააცნეს ინვესტორებს და მათი მხრიდან დაინტერესებაც, სწორედ აქედან იღებს სათავეს: **„ინტერესი საკმაოდ ძლიერია. იმისთვის, რომ ინვესტორებმა თანხები შემოიტანონ, საჭიროა, მათ რაღაც დავახვედროთ. დღევანდელი ჩვენი ინიციატივა სწორედ ასეთი ტიპის პლატფორმას სთავაზობს ინვესტორებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერად დავიწყეთ და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება“.**

ჰესების მშენებლობა ძირითადად უცხოური ინვესტიციებით განხორციელდება, რომელსაც „საქართველოს ბანკი“ და ენერგეტიკის განვითარების ფონდი ერთობლივად მოიზიდავენ. პროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტები ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით უკვე მომზადებულია.

*ნინო ლურსმანაშვილი*

## ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბს ირაკლი ბათიაშვილი უხელმძღვანელებს

პრეზიდენტობის კანდიდატის, „დემოკრატიული მოძრობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის საარჩევნო მთავარ შტაბს ირაკლი ბათიაშვილი უხელმძღვანელებს. გავრცელებული ინფორმაცია „დემოკრატიული მოძრაობის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბაკურ ბაკურაძემ დაადასტურა. მისი თქმით, შტაბის პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება: **„მთავარ შტაბს ირაკლი ბათიაშვილი უხელმძღვანელებს. რაც შეეხება შტაბის სტრუქტურას, იმ ადამიანების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით ჩაერთვებიან, უახლოეს პერიოდში, პრეზენტაციაზე გაიგებს საზოგადოება“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



## ნაზი შამანაურის სახელობის ჟურნალისტური ჯილდო 3 ქართველ ჟურნალისტს გადაეცა

„ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“, — ნაზი შამანაურის სახელობის ჟურნალისტური ჯილდოს გადაცემის რიგით მე-2 ცერემონია მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზაში“ გაიმართა.

„ობიექტივმა“ საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეარჩია ტელევიზიის, პრესისა და საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის ჟურნალისტები: ნათია მიქიაშვილი, ნინო მიქიაშვილი და თამუნა ლეფსვერიძე.

ღონისძიებას მედიის წარმომადგენელთა გარდა პოლიტიკოსები, ექსპერტები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ.

1983 წლის იანვარში ქართველი ჟურნალისტი ნაზი შამანაური (მისი პროფესიული საქმიანობის გამო) საბჭოთა რეჟიმმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსა და წამებით მოკლა.

*„ვერსიანიუსი“*

## გიორგი მარგველაშვილი მალე გადადგება

მაია ფანჯიკიძემ გიორგი მარგველაშვილის გადადგომაზე განცხადება გააკეთა. „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი რამდენიმე დღეში აპირებს გადადგომას სწორედ იმისთვის, რომ არ გაჩნდეს ეჭვი, თითქოს ადმინისტრაციული რესურსის დახმარებით აპირებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებას: **„როგორც პრემიერმა განაცხადა, წარსულში ყოველთვის იყო პრეტენზია, რომ ხელისუფლების კანდიდატი იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს. იმისათვის, რომ ასეთი რიტორიკა აღარ მოვისმინოთ, მარგველაშვილი აჩვენებს ძალიან კარგ მაგალითს“.**

საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს საარჩევნო ისტორიაში და ეს იქნება ძალიან კარგი მაგალითი მომავალი არჩევნებისთვისაც: **„ეს არის სწორი მიდგომა. დარწმუნებული ვარ, ამას ქართული საზოგადოება სათანადოდ შეაფასებს“.**

რაც შეეხება მარგველაშვილის შემცვლელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე, ფანჯიკიძისთვის კანდიდატის ვინაობა ჯერ უცნობია.

*„ინტერპრესნიუსი“*

# აბრეშუმის გზიდან ჰეროინის გზამდე

დავით დევიძე
593-219-042



## შსს-მ სოდ-ის ყოფილი თანამშრომლების დახმარებით ნარკოტრაფიკის სქემა გაშიფრა

## ვინ მფარველობდა ნარკობიზნესს საქართველოში და ჩაკეტავს თუ არა ახალი ხელისუფლება ნარკოტრასას

**როცა საქართველოს გეოსტრატეგიულ მნიშვნელობაზე საუბრობენ, იმასაც გულისხმობენ, რომ აზიიდან წამოსული ტვირთების ევროპაში მოსახვედრი უმოკლესი გზა ამ ქვეყანაზე გადის. აბრეშუმის გზას ჩვენთვის სერიოზული დივიდენდები უნდა მოეტანა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, იგი შეფერხებით მუშაობს და მოგებაც ნაკლებია. სამაგიეროდ, „ეფექტურად“ მუშაობს ნარკოტიკების გზა, რაც გარკვეული წრეებისთვის კოლოსალური მოგების წყაროს წარმოადგენს. „ვერსია“ უკვე წერდა, საქართველოში დაკავებული ნარკოტიკების თაობაზე. დღეს კი იმის გარკვევას შევეცდებით, რატომაა საქართველო მიმზიდველი ქვეყანა ნარკოტრანზიტისთვის.**

შსს-ს ოფიციალური მონაცემებით, 3 ივლისს, „გამოვლენილია საერთაშორისო ნარკოტრაფიკის ფაქტი. საქმე ეხება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას. სატვირთო ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში, აღმოჩენილია 500-გრამიან შეკვრებად დაფასოებული 232 ერთეული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, საერთო წონით 116 კილოგრამი, რომლის ღირებულება ათობით მილიონი ლარია. დაკავებულია ორი პიროვნება — მოლდოვისა და თურქეთის მოქალაქეები“... გამოძიება არ ახმაურებს, კონკრეტულად, რა ინფორმაციის საფუძველზე მოხდა ნარკოტიკის დაკავება. ასეთი რაოდენობით ჰეროინის ამოღება შემთხვევით არ ხდება და, შესაბამისად, არსებობდა ოპერატიული მონაცემები, რომელსაც არ გაასაჯაროებენ, თუმცა „ვერსიის“ ინფორმაციით, ცნობილია, საიდან მიიღო შსს-ს ცენტრალურმა კრიმინალურმა დეპარტამენტმა ეს ცნობები. ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

**საქართველოში ამ რაოდენობის ჰეროინი პირველად ამოიღეს. არადა, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ქვეყანა სწორედ ნარკოტიკების გზაზე მდებარეობს. როგორც ცნობილია, „სამხრეთის ქარის“ (ჰეროინის) სამშობლო ავღანეთია — იქ აწარმოებენ მსოფლიოში არსებული ჰეროინის 90%-ს. ავღანეთიდან ეს ნარკოტიკული საშუალება, ძირითადად, სამი გზით გაედინება — პაკისტანი, ტაჯიკეთი და ირანი. აქედან ნაწილდება შემდეგ ევროპაში, ამერიკასა და რუსეთში. ავღანური ნარკოტიკის წარმოება კოლოსალურ ფულს უკავშირდება. ფინანსისტი ექსპერტების თქმით, ნარკოკარტელები ყოველწლიურად 600 მილიარდიდან ერთ ტრილიონ დოლარამდე იღებენ.**

ყაყაჩოს მოსავალი თავის რჩენის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ავღანელი მოსახლეობისთვის, რადგან მეურნეობის სხვა სახეობები იქ მოშლილია. ის, რაც ავღანელებისთვის სიკეთის წყაროა, ბოროტების სათავეა დანარჩენი მსოფლიოსთვის. გაერო-ს ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ავღანური ნარკოტიკისგან მთელ მსოფლიოში მილიონი ადამიანი დაიღუპა. ამიტომ იბრძვის თითქმის ყველა ქვეყანა ნარკოტრასის გადაკეტვისთვის, თუმცა აშკარად უშედეგოდ, რადგან დღეს მსოფლიოს ნარკომანები ნარკოტიკულ შიმშილს ნამდვილად არ განიცდიან. მიზეზი ერთადერთია — კოლოსალური შემოსავლების გამო, ბევრ ქვეყანაში ნარკომაფიას მხოლოდ მოჩვენებით ებრძვიან და, სინამდვილეში, ამ საქმიანობით ხშირად მთავრობებიც კი ითბობენ ხელს. რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოში? — საინტერესო და ამავდროულად, კომიკურიც. წინა ხელისუფლება ნარკოტრასის არსებობაზე არ საუბრობდა. არადა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2008 წელს გამოსცა მოხსენება: **„საქართველოს მთავრობა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ნარკოტიკების სანდო სტატისტიკურ მონაცემებს არ ფლობს. საქართველოს შსს მიუთითებს, რომ 2004-2006 წლებში ნარკოტიკების მნიშვნელოვანი რაოდენობის ამოღება არ მომხდარა. ეს ზოგიერთისთვის იმის მტკიცებულებაა, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანა არ არის, სხვები კი, პოლიციის არაადეკვატურ მუშაობასა და შესაძლო კორუფციაზე მიუთითებენ“.** დასკვნის პირველი ნაწილი ვანო მერაბიშვილმა, რომ იტყვიან, თითზე დაიხვია და აცხადებდა, საქართველოზე ნარკოტრასა არ გადისო. იგი მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე არსებული ნარკოტიკებით ინტერესდებოდა და ერთხელ წაიტრაბახა კიდეც, 2007 წელს 9 კილოგრამი, 2008 წელს კი 8 კილოგრამი ჰეროინი დავაკავეთო. ცხადია, ადგილობრივ ქსელში არსებულ ჰეროინს გულისხმობდა. პარალელურად, ჩვენი მეზობელი ქვეყნები რეგულარულად აკავებდნენ ნარკოტრანზიტებს, რომელთაც საქართველოს „აბრეშუმის“ გზაც ჰქონდათ გავლილი. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. 2008 წლის 16 დეკემბერს, ბულგარეთში დააკავეს სატვირთო მანქანებში დამალული 400 კილო ჰეროინი. დამტკიცებულია, რომ ეს ტვირთი ფოთის პორტიდან ჩაიტანეს ბორნით. მანამდე, ერთი წლით ადრე, უკრაინაში ამოიღეს ჯერ 174 კილო, შემდეგ კი 105 კილო ნარკოტიკი, რომელიც ასევე ფოთიდან გაიტანეს უკრაინაში. თუ ნარკოტრასა არ არსებობდა, ტვირთები როგორღა მოხვდა ფოთში? ამ კითხვის არსებობა უკვე იძლევა საფუძველს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნის მეორე ნაწილზე დავფიქრდეთ, სადაც პოლიციაში შესაძლო კორუფციაზეა საუბარი. ასეთი მიდგომა ლოგიკურიც იქნება, მით უმეტეს, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა სოდ-ი, რომლის მაღალჩინოსნები ბევრჯერ გაეხვივნენ ნარკოსკანდალში. მაგალითისთვის ირაკლი კოდუას გარშემო ამტყდარი აჟიოტაჟიც კმარა, როცა დეპარტამენტის თანამშრომლებმა უფროსი ნარკოტიკების გამსაღებლების მფარველობაში დაადანაშაულეს. საბოლოოდ, მივდივართ დასკვნამდე: ნარკოტიკული ნივთიერებები რუსეთსა და ევროპაში საქართველოს გავლით ვრცელდებოდა.

**ნარკოტრასის გეოგრაფია ასეთია — საქართველოს პირდაპირი საბორნე კავშირი აქვს უკრაინასთან და ბულგარეთის პორტებთან. უკრაინაში შესული ტვირთი აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ რუსეთის ტერიტორიებზე ნაწილდება. ბულგარეთის პორტიდან კი, ნარკოტიკები დუნაის საშუალებით, ევროპის სიღრმისკენ მიემართება. ამ გზის არსებობას არავინ უარყოფს, საქართველოს წინა ხელისუფლების გარდა.**

ექსპერტების თქმით, ნარკოტრასის არსებობა არ არის დამოკიდებული შემთხვევითობასა და იღბალზე. ვერანაირი ტვირთი ვერ გაივლის ქვეყნის ტერიტორიას, თუ ეს ვინმეს ინტერესებში არ შედის. მარტივად რომ ვთქვათ, მფარველების გარეშე ნარკოტრასა ვერ იარსებებს და ამ ფონზე, ჩნდება კიდევ ერთი კითხვა — ვინ არის ნარკოტრაფიკის მფარველი საქართველოში? რა თქმა უნდა ის, ვინც კონტროლის მექანიზმებს ფლობს. კონტროლის მექანიზმებს ნაციონალების ეპოქაში ვინ ფლობდა, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. „მწვანეთა“ ლიდერის, გია გაჩეჩილაძის თქმით, წინა ხელისუფლება ნარკოტრაფიკს რომ მფარველობდა, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ისიცაა, რომ მსგავსი თემების განხილვებში არასოდეს მონაწილეობდა მათი ტელევიზიები. გაჩეჩილაძე იმ 180 მილიონი დოლარის საქმის გამოძიებასაც ითხოვს, რომელიც ვითომ ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ საბრძოლველად გადმოეცა ქართულ მხარეს და არავინ იცის, კონკრეტულად, ვის ჯიბეში წავიდა.

საინტერესოა, რა პოზიცია ექნება ახალ ხელისუფლებას. 3 ივლისს, 116 კილო ჰეროინის დაკავების შემდეგ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბრძოლა ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ დაიწყო და გაგრძელდება. იმედია, ამ ბრძოლის ფინალი ნარკოტრასის ჩაკეტვა იქნება.

**დიდი ოდენობით ნარკოტიკების დაკავებით, საქართველო სერიოზულ განაცხადს აკეთებს, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებულ რისკებს შეიცავს. თუ აღარ იქნება იმის გარანტია, რომ საქართველოს ნარკოტიკი უსაფრთხოდ გაივლის, ამ ბიზნესით დაკავებულები ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას შეეცდებიან. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღარ ეცლება არავის ნარკოტრასის კონტროლისთვის. ამ ფონზე, აუცილებელია, ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა შესაბამისი უწყება აქტიურად ჩაერთოს, რათა ქვეყნის უსაფრთხოება იყოს დაცული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ მსგავს დაკავებებს მომავალშიც უხვად უნდა ველოდეთ — „ვერსიის“ ინფორმაციით, შსს-მ ნარკოტრაფიკის მთელი სქემა გაშიფრა სოდ-ის ყოფილი თანამშრომლების დახმარებით, რომლებმაც კარგად იციან, რატომ ვერ მოხერხდა 9 წლის განმავლობაში თუნდაც ერთხელ, ნარკოტიკების სერიოზული პარტიის ამოღება.**

ვერსიანიუსი

# სასამართლომ ყოფილი დეპუტატი კახა გეწაძე გაამართლა



ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გივი არაბიძე და ზესტაფონის რაიონის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი კახა გეწაძე წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცნობით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის განაჩენით, ბრალდებულები კახა გეწაძე და გივი არაბიძე უდანაშაულოდ ცნეს. გამოძიება კახა გეწაძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წაქეზებაში, ხოლო გივი არაბიძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედავებოდა.

**„ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და ამავდროულად, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე გივი არაბიძემ, იმ დროისათვის, ზესტაფონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის კახა გეწაძის ახლობლის, ფილიმონ ღაღანიძისათვის უპირატესობის მისაღებად, სახელმწიფო შესყიდვების წესის განხორციელების დებულების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, შეასრულა კახა გეწაძის დავალება და 2010 წლის 7 დეკემბრის 14:00 საათზე არ დააფიქსირა დასრულებულად სატენდერო წინადადებების მიღება, დაგვიანებით მიიღო ფილიმონ ღაღანიძის განაცხადი, რითაც საშუალება მისცა ამ უკანასკნელს, მონაწილეობა მიეღო ტენდერში შპს „ბახტურიძე და კომპანიის“ სახელით. ამის შედეგად, ფილიმონ ღაღანიძემ კონკურენტ კომპანიასთან გამართულ ვაჭრობაში გაიმარჯვა ორ ლოტში და გაუფორმდა ხელშეკრულება“,** — წერია სასამართლოს განცხადებაში.

საქმის არსებითი განხილვის დროს დადგინდა, რომ გამოკვლეული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად და შესაბამისად, სასამართლომ ბრალდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენი დააყენა.

***„ინტერპრესნიუსი“***

მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net
ობიექტური ვერსია
იპოვით თქვენი www.versia.ge
ვერსია

# „კარგად ვიცნობ დაკავებულ პროფესორებს... ისინი ამას არ იმსახურებენ!“



## როგორ აფასებს დავით ბაქრაძის სკანდალურ განცხადებას ნოე ხოზრევანიძე, რატომ დაუმძიმდება ბრალი ვანო მერაბიშვილს და გახდება თუ არა გამოძიების საფუძველი საპრეზიდენტო კანდიდატის „აღიარება“?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**მედია-კავშირ „ობიექტივისა“ და გაზეთ „ვერსიის“ ერთობლივი პროექტის მორიგი სტუმარი 8 ივლისს, ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ფერმერი, სოფლის განვითარების საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მენეჯერი, ნოე ხოზრევანიძე იყო, მთავარი თემა კი — სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის სკანდალი, რის გამოც 2013 წლის 1 მაისს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები და ხანდაზმული პროფესორები დააკავეს.**

**— ბატონო ნოე, „ვერსია“ განაგრძობს ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც სოფლის მეურნეობის სკანდალს უკავშირდება. იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობა ახალი ხელისუფლების პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია და მას, უშუალოდ პრემიერი ხელმძღვანელობს, საზოგადოების მაღალი ინტერესი სრულიად ბუნებრივია. თქვენ, როგორც ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტი, როგორ შეაფასებთ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს?**

— წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა უპატრონოდ იყო მიტოვებული. წელს, როგორც იქნა, პატრონი გამოუჩნდა და ბოლო 10 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძლივს ეღირსა პროფესიონალი კადრები, რაც სრულიად ოპტიმალურია, რომ ყველა გამოწვევას გაუძლოს. დასანანია, მიუტევებელ შეცდომებთან გვაქვს საქმე. უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევ, უნდა დაველოდოთ გამოძიებას. არ ვიცი, ვისი შეცდომის, ვისი უყურადღებობის ბრალია, რაც მოხდა. შესაძლოა, მიზანმიმართული ბრძოლაც ყოფილიყო, ან სულაც — საბოტაჟი. 10 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში რომ არაფერი გაკეთებულა, ეს ჩემდა გასაკვირად, 7 ივლისს, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ პრაიმერის ფარგლებში, გორში გამართულ შეხვედრაზეც აღნიშნა და განაცხადა, რომ ნაცმოძრაობას აგრარული განვითარების, მისი გაუმჯობესებისა და ხელის შეწყობის კონცეფცია ან პროგრამა არ ჰქონდა! ნაციონალების მეორე საპრეზიდენტო კანდიდატმა ზურაბ ჯაფარიძემ კი თქვა, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა აგრარული ქვეყანა. მისი განცხადება გასაგებიცააა — ბატონი ზურაბი ლიბერტარიანელია.

**— დავით ბაქრაძის ეს განცხადება ნიშნავს, რომ ვანო მერაბიშვილს კიდევ უფრო დაუმძიმდება ბრალი, რადგან ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო პროგრამა — „მეტი სარგებელი ხალხს“, ერთ-ერთი თემაა, რასაც გამოძიება ყოფილ პრემიერს ედავება?**

— თუ ბაქრაძის ამ განცხადებას ისტორიულ დინამიკაში განვიხილავთ, ცალსახაა, მერაბიშვილს მდგომარეობა დაუმძიმდება. წინა ხელისუფლების მეორე პირი ამბობს, რომ აგრარულ სფეროში, სახელმწიფოებრივი აზროვნება, კონცეფცია და გეგმა არ არსებობდა. საქმე ადამიანებთან, საზოგადოებასთან, მათ სასურსათო უსაფრთხოებასთან, ქვეყნის სურსათით მომარაგებასთან გვაქვს, რაც ჟანგბადის ტოლფასია ქვეყნისთვის. ამ მიდგომის გამო, წინააღმდეგობაში მოვდივართ ნაცმოძრაობის ევროპულ ორიენტაციასთანაც. თუ სახელმწიფოს აგრარული განვითარების პოლიტიკა არ გააჩნდა, რომელიც თავისი პროფილიდან გამომდინარე, თანხვედრაში უნდა ყოფილიყო ევროპულ პოლიტიკასთან, გაერთიანებასთან, ფასეულობებთან... გამოდის, თავის დროზე, ევროპა მოვატყუეთ და ამას დღეს ვაღიარებთ? 2004 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, ყველა საბიუჯეტო მონაცემი ავიღოთ აგრარულ სფეროში და გავარკვიოთ, რას მოხმარდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ეს თანხები...

**— როგორ გგონიათ, რაში დაიხარჯა ეს თანხა?**

— ეს კიდევ ცალკე გამოძიების საგანი უნდა იყოს, რადგან აგრარულ სფეროში რომ არ დახარჯულა, სოფელსაც ეტყობა, სოფლის მეურნეობასაც, სოფლად და ქალაქად მაცხოვრებელსაც, სასურსათო-სამომხმარებლო საბითუმო, თუ საცალო ბაზარსაც. ჩვენ მხოლოდ სამწუხარო სტატისტიკური მონაცემები შემოგვრჩა, რომლითაც იმპორტზე საშუალოდ, 1 000 000 000 აშშ დოლარს ვხარჯავდით. ეს ნიშნავს, რომ იმპორტს ვაკეთებდით და ამ დროს, ჩვენი მინდორი გაჩერებული იყო. არის თუ არა ეს დანაშაულებრივი ნიშნები სახელმწიფოს, ერის, საზოგადოების წინაშე? გამოდის, მიზანმიმართულად ვაღარიბებდით ადამიანებს, ქვეყანას, არ ვქმნიდით დოვლათს! მთლიან შიდა პროდუქტში, სოფლის მეურნეობის წილი 8%-მდეა მაშინ, როდესაც ჩვენს მეზობელ სომხეთში 22%-ია. თითქმის ამდენივეა აზერბაიჯანში. აღარაფერს ვამბობ დომინანტ ქვეყანაზე ამ კომპონენტში — თურქეთზე. სამწუხაროდ, სურსათის უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკმაოდ საშიშ პირობებში აღმოვჩნდით. ამიტომ დავით ბაქრაძის ამ განცხადების შემდეგ, ბუნებრივია, ეს კითხვები იარსებებს ყოფილ პრემიერ-მინისტრთანაც. ეს არის 10 წლის განმავლობაში ნგრევისა და გაფუჭების ისტორია, რომელიც მოკლე პერიოდში გვინდა გამოვასწოროთ. არადა, ამ პრობლემების მოგვარებას დრო სჭირდება.

**— დავაზუსტოთ: ნაცმოძრაობის მაღალ ეშელონებში ორი ბანაკი არსებობდა, ლიბერტარიანელები, რომლებიც ქვეყნის სინგაპურიზაციისკენ მიისწრაფოდნენ და პროგრესულად მოაზროვნეთა ჯგუფი, რომლებიც საქართველოს აგრარულ ქვეყნად მიიჩნევდნენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროში პროფესიონალი გუნდი კი დაბრუნდა, მაგრამ დავით კირვალიძეს მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. ბიძინა ივანიშვილის ყურადღების გამო, გარკვეულმა ჯგუფმა დაინახა, რომ სოფლის მეურნეობაში ფულის კეთება შეიძლება? ეს სკანდალი ამასაც ხომ არ უკავშირდება?**

— ლოგიკური და ბუნებრივი კითხვაა, რადგან ნაცმოძრაობის ლიდერი აღიარებს, რომ დარგში არაფერი გაკეთებულა და ისინი ამ დარგს არ ცნობდნენ. კირვალიძე და მისი გუნდი ნანგრევებში მივიდნენ, დარგი გაწმინდეს, აღადგინეს და ხელმძღვანელობა ნულიდან დაიწყეს. ეს უნდა ვაღიაროთ, რადგან დარგში არც ერთი მაპროფილებელი კომპონენტი არ არსებობდა. როგორ უნდა განვვითარდეთ, თურქეთის სელექციის მიღწევებზე უნდა ვიყოთ დამოკიდებულები? თუ ეს ასეა, პირდაპირ გეტყვით, რომ ელიტური სელექციის თესლს ვერ შემოვიტანთ, რადგან ელიტური თესლისა და ჩითილის ექსპორტი თურქეთში პოლიტიკურად აკრძალულია. ამას მივესალმები, რადგან ეს იმ ქვეყნის სიმდიდრე, დარგის სიმტკიცე და მდგრადობაა. ჩვენთან ეს ყველაფერი ნულიდანაა გასაკეთებელი, რადგან თავის დროზე, ნატახტარში მოვშალეთ სასელექციო სადგურები, რომელიც საქართველოს გარდა, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებსაც ამარაგებდა მარცვლეული კულტურებით. ამ დარგის ასპირანტები კი, სამეცნიერო კვლევებს იქ ატარებდნენ და საქართველო მოწინავე აგრარული ქვეყანა იყო თავისი პოტენციალით.

**— გამოძიების მასალებს დავუბრუნდეთ. დაკავებული მაღალჩინოსნების ადვოკატები აცხადებენ, რომ ძიება არაობიექტურად მიმდინარეობს. პროკურორი და გამომძიებელი ჭეშმარიტების დადგენას კი არ ცდილობენ, აიძულებენ დაკავებულებს, აღიარებითი ჩვენება მისცენ და დაიბრალონ, რაც არ ჩაუდენიათ. ვინ არის ის ჯგუფი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის შეცდომაში შეყვანას მიზანმიმართულად ცდილობს? ვინ არიან ადამიანები, რომლებიც დაკავებულებისგან ისეთი ჩვენების მიღებას ითხოვენ, რის საფუძველზეც დავით კირვალიძეს დაიჭერენ?**

— არ მინდა ვიმარჩიელო, მაგრამ ერთი რამ ცხადია — როცა დარგს პატრონი გამოუჩნდა და ამ სფეროში სერიოზული ფინანსური ინვესტიციებიც ჩაიდო, ფაქტია, ამ ტიპის ჯგუფები აუცილებლად იარსებებდნენ. თავად ვარ ფერმერი და ვამუშავებ მიწას, ბევრჯერ მომიყვანია ხორბალი და რეალიზაციაში პრობლემები მექმნებოდა. მიზეზი ის იყო, რომ სამამულო წისქვილ-კომბინატები მხოლოდ იმპორტირებულ პროდუქციაზე იყვნენ ორიენტირებულები. გამოძიება დაკავებულებს ედავება, რატომ მიანიჭეს უპირატესობა ჩეხური წარმოების „ზეტორის“ ტრაქტორებს და რატომ დაიწუნეს „ნიუ ჰოლანდის“ თურქული წარმოების ტექნიკა. ევროპაში ორი ხარისხია აღიარებული — ჩეხური და გერმანული. თავის დროზე, „ზეტორს“, გერმანიაში, საფრანგეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში აქვს მსგავსი ტენდერები მოგებული. საჩოთიროა, როცა საქართველოს „ზეტორის“ ტექნიკაში ეჭვი შეაქვს...

**— გამოძიებას ეჭვი არ შეაქვს. „ზეტორის“ ტრაქტორებს რატომ მიანიჭეთ უპირატესობაო, ამას ედავებიან.**

— მაშინ სატენდერო პირობებს ჩახედონ, რომელმაც გარკვეული ტექნიკური პარამეტრები განსაზღვრა. მაგალითად, მე 97-ცხენისძალიანი ტრაქტორები შემოვიყვანე, რადგან მაშინ, იმ კონკრეტული რეგიონისთვის, სწორედ ეს პარამეტრები იყო მისაღები. კარგად ვიცნობ დაკავებულ პროფესორებს. მათთან ერთადაც მიმუშავია. შესანიშნავი სპეციალისტები არიან. არასდროს, არც ერთ ეტაპზე, მათ ცოდნასა და მეცნიერულ შეხედულებებში ეჭვი არავის შეუტანია. ისინი ამას არ იმსახურებენ! არსებობს ევროპული საექსპერტო კომისია. კარგი იქნება, სწორედ მან დადოს მასალა და განსაზღვროს ტექნიკური პარამეტრებიც.

**— როგორც ვიცი, გამოძიება ამ ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს. თქვენი აზრით, ექსპერიმენტის გარეშე ამ ხალხის დაპატიმრება შეიძლებოდა? ტრაქტორი ხომ მინდორზე უნდა გამოეცადათ?**

— არსებობს საექსპერტო კომისიები, საექსპერტო ფორმულები, „გარიაჩკინის ფორმულა“, რაც შესანიშნავი პარამეტრია განსაზღვრო ესა თუ ის მოდელი და დასკვნაც მოამზადო. საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, მაგრამ გიმეორებთ, სიმართლის დადგენა ამ ტიპის ექსპერიმენტის საფუძველზე, სრულიად მარტივია. ვწუხვარ, რომ ეს მეცნიერები ამ მდგომარეობაში არიან. გამოძიება მხოლოდ ორ ბრენდზე საუბრობს, მაგრამ კარგი იქნებოდა, „ნიუ ჰოლანდის“ ჰოლანდიური ტრაქტორები შემოეყვანათ და არა თურქული. თურქულ ტექნოლოგიებს არ ვაკნინებ, მაგრამ ეს ტექნიკა მხოლოდ თურქეთის რელიეფზეა გათვლილი. ცოტა უხერხულია, ქვეყანას ევროპული ორიენტაცია აქვს, ჩეხეთი ევროპის ცენტრალური ქვეყანაა და აშკარად არასასიამოვნოა ასეთი განცხადებები. „ზეტორის“ ტრაქტორების უგულებელყოფა უხერხულია ჩეხეთთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

**— ბატონო ნოე, ის ჯგუფი, რომელიც ცდილობს, გამოძიება ჩიხში შეიყვანოს, კონკრეტულ ბიზნესკომპანიებს ხომ არ ლობირებენ?**

— ასეთი ჯგუფები ადრეც არსებობდნენ და ახლაც არიან. გადავხედოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადრე ჩატარებულ ტენდერებს და ვნახავთ, რომ მათ ერთი და იგივე კომპანიები იგებდნენ. ასეთი ჯგუფები იარსებებდნენ, რადგან ბაქრაძის განცხადებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში არავითარი კონკრეტული გეგმა და კონცეფცია არ არსებობდა. თქვენი ერთი სტატია მახსენდება — აგრობიზნესმენმა გითხრათ, რამდენიმე წლის წინ, ჩემი უცხოელი პარტნიორების სატენდერო დოკუმენტები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა დაბლოკეს, მეტიც, სამინისტროშიც კი არ შეუშვესო. ამას დაუმატეთ დავით ბაქრაძის განცხადება და ცხადია, რომ ასეთი ჯგუფები არსებობდნენ, რომლებიც ახლაც კარგად გრძნობენ თავს. პირდაპირ გეუბნებით, მათგან უნდა გავთავისუფლდეთ, „კრიშები“ და „დამკრიშავები“ უნდა დავივიწყოთ, რადგან ეს სოფლის მეურნეობის განვითარებას სერიოზულად აბრკოლებს.

## ვერსიანიუსი

### შსს-ში რუსეთის დუმის ის დეპუტატები დაასახელეს, რომლებიც საქართველოში აგვისტოს ომის შემდეგ იმყოფებოდნენ



შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, აკაკი მინაშვილის განცხადებას აგვისტოს ომის შემდეგ რუსი დეპუტატების ვიზიტის უარყოფის შესახებ სიცრუეს უწოდებს. ნინო გიორგობიანის თქმით, მინაშვილმა ტყუილი თქვა: „მე შემიძლია დაგისახელოთ სახელი და გვარები და წლები, თუ რომელ წლებში იყვნენ საქართველოში რუსი დეპუტატები ჩამოსული“. გიორგობიანისვე თქმით, 2009 და შემდეგ 2011 წელს საქართველოში ჩამოსული იყო ჟირინოვსკის პარტიის წევრი დენის დავითიაშვილი, 2009 წელს — ალექსანდრ ბედნოვი, 2011 წელს — ტატიანა მოსკალკოვა, 2010 წელს კი — ზელიმხან მუსოევი.

აკაკი მინაშვილმა 10 ივლისს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, 2008 წლის შემდეგ საქართველოში რუსი დეპუტატების ვიზიტი უარყო. ამასთან, მისივე თქმით, სერგეი მარკოვს, რომელიც არის საქართველოს დაქუცმაცების ერთ-ერთი იდეოლოგი, 2010 წელს საქართველოში ჩამოსვლა სურდა, მაგრამ ის საქართველოში ვერ შემოვიდოდა და თუ ამას გააკეთებდა ქართული მხარე მას დეპორტაციას გაუკეთებდა: **„ის აცხადებდა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის დამოუკიდებელი და ის იყო ნამყოფი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ის საქართველოში ვერ შემოვიდოდა და თურმე ახლა რუს დეპუტატებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საქართველოს დაქუცმაცებას, თურმე მორალური დისკომფორტი არ უნდა შეექმნათ. ძალიან მაინტერესებს მთაწმინდაზე სადღეგრძელოების თქმის დროს თუ აღიარეს რუსმა დეპუტატებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა?“**

***„ინტერპრესნიუსი“***

# „განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვები ეკა ხვედელიძის საარჩევნო დაპირების ასრულებას ელოდებიან“

## ვის ინტერესში შედიოდა ლოგოპედიური სკოლის დახურვა და აღადგენს თუ არა მას ივანიშვილის ხელისუფლება



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**საქართველოს სკოლებში ინკლუზიური სწავლების პროგრამის დანერგვამ და სპეცსკოლების დახურვამ არაერთი მოზარდი დატოვა განათლების გარეშე. პროგრამამ შედეგი ვერ გამოიღო და ვერ დაეხმარა ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მოზარდებს, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ეგრძნოთ თავი. ვერც თავად პროგრამა მიიღო საზოგადოებამ — ბავშვებმა, მათმა მშობლებმა და პედაგოგებმა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოზარდებს დაცინვა დაუწყეს, სპეცსკოლები დაიხურა, ბავშვებისთვის კი განათლების მიღება ხელმიუწვდომელი გახდა. გამონაკლისი არც თბილისის ლოგოპედიური სკოლაა, რომელიც შუა სასწავლო წელს დახურეს, მოსწავლეებმა კი სწავლა საჯარო სკოლაში ვერ შეძლეს.**

**„ვერსია“ დაინტერესდა, რატომ დახურეს ლოგოპედიური სკოლა, რა პრობლემები შეექმნათ მოსწავლეებს და რატომ ვერ ერგებიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები ინკლუზიური სწავლების პროგრამას? ინფორმაციის მისაღებად 193-ე საჯარო სკოლის (ლოგოპედიური სკოლის) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, მარინა გიგაურს ვესაუბრეთ:**

— 193-ე საჯარო სკოლა, რომელიც ლაღიძის 7-ში მდებარეობდა, მოულოდნელად, 2012 წლის 2 თებერვალს, შუა სასწავლო წელს დაიხურა. ოფიციალურ მიზეზად ავარიულობა დასახელდა, არადა შენობა ავარიული არ იყო — იაპონელებმა გაარემონტეს. სინამდვილეში, სკოლის ადგილმდებარეობა სხვადასხვა კომპანიისთვის იყო სასურველი და ამიტომაც გააუქმეს. გაირკვა, რომ შენობა საფრანგეთის საელჩომ შეიძინა და იქ სასწავლო ცენტრის გახსნა სურთ; გამოდის, მათთვის ავარიული არ არის. 2 დღის წინ ყოფილმა თანამშრომელმა მითხრა, სკოლა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა, შენობა კი დალუქულიაო.

**— 2 თებერვლამდე არავის გაუფრთხილებიხართ, რომ სკოლის დახურვას აპირებდნენ?**

— სკოლის ტერიტორიის ნაწილი და მიწა ნელ-ნელა გაასხვისეს... როცა დახურეს, დირექტორი უკვე აღარ ვიყავი. სკოლაში განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლები შემოვიდნენ, ბავშვებს ამოწმებდნენ, აკვირდებოდნენ, რამდენად ექვემდებარებოდნენ ისინი ლოგოპედიურ სკოლაში სწავლას... არადა, 2005 წლიდან, საჯარო სკოლის სტატუსი მოგვცეს. წესდების თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორს არ ჰქონდა უფლება, სკოლაში ნებისმიერი ბავშვი არ მიეღო. ჩვენც, ბუნებრივია, სურვილის შემთხვევაში, ჩვეულებრივ ბავშვებსაც არ ვეუბნებოდით უარს. 2005 წლიდან, ინტეგრირებული სწავლებაც იყო და ინკლუზიურიც. ამით კარგ შედეგებს ვაღწევდით — კლასში 10-12 ბავშვი გვყავდა, ყველა კლასში შედიოდა სპეციალისტი. საგნის მასწავლებელსაც კი გავლილი ჰქონდა კურსები ლოგოპედიაში. თუ ბავშვი გამოსწორდებოდა, ვურჩევდით სხვა სკოლაში გადასვლას, თუმცა იყო შემთხვევები, ბავშვები უკან ბრუნდებოდნენ — იქ ზოგს მასწავლებელი დასცინოდა, ზოგს კლასელები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის მზად არც ჯანსაღი ბავშვი, არც მისი მშობელი და არც მასწავლებელთა ნაწილი, ასეთი ბავშვები მიიღონ სკოლაში, რის გამოც, ეს ბავშვები კომპლექსდებიან.

**— სკოლიდან თქვენი გაშვება მის დახურვას უკავშირდება?**

— 25 წელი ვიმუშავე ლოგოპედიურ სკოლაში, კბილებით ვიცავდი, რომ არ დაეხურათ. მშობლებისა და მასწავლებლების თხოვნით, ბოლოს ნაციონალური მოძრაობის წევრიც კი გავხდი, რათა სკოლა გადამერჩინა. 2011 წლის მაისში სკოლის დირექტორობის შესარჩევ კონკურსში გავიმარჯვე, განათლების სამინისტროში სერტიფიკატი საზეიმოდ გადმომცეს, მაგრამ უმუშევარი აღმოვჩნდი. მიზეზი რომ ვიკითხე, მიპასუხეს — გამარჯვებულთა სიაში თქვენი გვარი გამოგვრჩაო. დასახმარებლად ძველი თბილისის გამგებელ დავით ავალიანთან მივედი, რომელმაც მითხრა — ადრე რომ მოსულიყავი, შენ დაგნიშნავდი სკოლის დირექტორადო. სწორედ მაშინ გავიგე, თურმე ავალიანთან უნდა მივსულიყავი, დირექტორად რომ დავნიშნულიყავი. მერე გამახსენდა — ერთ-ერთ თათბირზე განათლების მინისტრმა გვითხრა, ვინც გაიმარჯვებს, არ დაგავიწყდეთ, თქვენი რაიონის გამგეობებს მიაკითხოთო. მოგვიანებით, ბატონმა დავითმა ინკლუზიური სწავლების კოორდინატორად გამიშვა მე-20 სკოლაში. ავალიანის მოადგილე დიმიტრი ჩხეიძე იყო პროტეჟე მისივე კარის მეზობლის, თამარ გერმისაშვილის, რომელიც ამ სკოლის დირექტორად დაინიშნა. ეს ქალი გენინსპექციამ მოხსნა და 2012 წლის იანვარში სკოლის დირექტორად მაკა ბეჟანიშვილი მოიყვანეს. მისი დანიშვნიდან ორ კვირაში კი, სკოლა დახურეს. ფაქტობრივად, ბეჟანიშვილი ლოგოპედიური სკოლის დასახურად მოიყვანეს. ბავშვები ყრუ-მუნჯთა სკოლაში გადაიყვანეს და არ მესმის, უნდა ისწავლოს ჟესტური ენა ბავშვმა, რომელსაც სმენის პრობლემა არ აქვს?! ამ ბავშვებმა ალღო ვერ აუღეს ინკლუზიურ სწავლებას და სახლში სხედან. ჯანსაღი ბავშვი, რომელსაც გვერდით დაუნის სინდრომით დაავადებული თანაკლასელი მიუსვეს, მთელი გაკვეთილი ზურგით იჯდა.

**— მშობლები რატომ აპროტესტებენ ინკლუზიურ სწავლებას?**

— ამბობენ, ასეთი ბავშვები მეტ ყურადღებას მოითხოვენ, ჩვენ ჯანმრთელ შვილებს წუთები აკლდებათ და გაკვეთილის ხარისხიც იკლებსო. დევნილი ბავშვი სწავლობდა ინკლუზიურ კლასში მე-20 სკოლაში. გალიდან გამოპარვისას, შიშის ნიადაგზე, მეტყველება დაერღვა. მე-2 კლასელ ბავშვს, რომელიც ფურცელს დაუკითხავად არ აიღებდა, მშობლებმა ფულის მოპარვა დააბრალეს — ინტრიგები დახლართეს, აიძულეს, სკოლიდან წასულიყო... ბოლოს გაირკვა ყველაფერი: ერთმა ბავშვმა უთხრა, იქ რომ ფული დევს, აიღე და მომაწოდეო. აიღო და ამ დროს დასწამეს ცილი, ფული მოიპარაო. ბავშვს შიშის ნიადაგზე უნებლიე შარდვა და ხელების კანკალი დაეწყო.

სამწუხაროდ, მასწავლებლებმაც არ იციან, ასეთ ბავშვებს როგორ მიუდგნენ. დაჩაგრულები, თვეობით უმოქმედოდ სხედან გაკვეთილებზე — მასწავლებლების უმეტესობა საგაკვეთილო პროცესში აქტიურად არ რთავს, ნიშანს კი მხოლოდ იმ საგანში უწერენ, რა საგანსაც ესწრებიან. ამიტომ უნდა არსებობდეს სპეცსკოლებიც და ინკლუზიური სწავლებაც. სხვა შემთხვევაში, უკურეაქციას მივიღებთ! არჩევნებამდე, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინემ ხვედელიძემ, 10 წუთი ილაპარაკა ლოგოპედიური სკოლის შესახებ. განაცხადა, რომ ეს სკოლა უკანონოდ დაიხურა და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პირველს რასაც გავაკეთებთ, ამ სკოლას აღვადგენთო. მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები დღემდე ელიან ამ დაპირების შესრულებას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ განათლების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძეს არასწორ ინფორმაციას აწვდიან და ამით ვიღაცებს თავიანთი შეცდომების გადაფარვა სურთ — არწმუნებენ, თითქოს სწორად მოიქცნენ, სკოლა რომ დახურეს. განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსმა, ეკა დგებუაძემ გვითხრა, ერთ-ერთ სკოლაში კლასკომპლექტი გაიხსნებაო... გამოდის, სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთ კლასში უნდა იყვნენ, რაც გაუმართლებელია და ეს კარგ შედეგს ნამდვილად არ მოუტანს განათლების სამინისტროს.

**„ვერსია“ დაინტერესდა, აპირებს თუ არა განათლების სამინისტრო თავისი გადაწყვეტილების გადახედვას და პრემიერის მეუღლის საჯაროდ დადებული პირობის შესრულებას. ამის გასარკვევად განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსს, ეკატერინე დგებუაძეს დავუკავშირდით.**

— ყოფილი ლოგოპედიური სკოლის აღდგენის საკითხი, ამ ეტაპზე, არ განიხილება. ალტერნატიულ გზებს ვეძებთ და ერთ-ერთი ასეთი გზა ინტეგრირებული კლასის გაკეთებაა, რომელსაც თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ვგეგმავთ. პირველ ეტაპზე, 1-დან მე-6 კლასის ჩათვლით გავხსნით ასეთ კლასს და ბავშვები ჯანსაღ თანატოლებთან ერთად ისწავლიან. ისეთ დამატებით სერვისებს კი, როგორიცაა მეტყველების გაკვეთილი, ფსიქოლოგისა და სპეცმასწავლებლის მომსახურება, რესურსოთახში მიიღებენ.

**— თუ ბავშვი მე-8 კლასშია, რა ქნას?**

— ესაა საპილოტე პროგრამა და პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ მე-12 კლასის ჩათვლით.

**— ეს ხომ ინკლუზიური სწავლებაა?**

— დიახ, მის ფარგლებში მოიაზრება, ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში ვაძლიერებთ ადგილობრივ მასწავლებლებს სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მუშაობისთვის, ვაძლევთ საშუალებას, ხმოვან გარემოში იყვნენ.

**— რატომ არ დგას სკოლის აღდგენის საკითხი?**

— სამწუხაროდ, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ვერ გიპასუხებთ.

სამაგიეროდ, პასუხს განათლების მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე** გვცემს: **„ამ საკითხზე ტექნიკური და შინაარსობრივი მხარე არსებობს. შინაარსობრივ მხარეზე სამინისტროს სპეციალისტებს, ჯერჯერობით, ოფიციალური დასკვნა არ დაუდიათ. როცა შინაარსობრივი საკითხი ჩამოყალიბდება, შესაძლოა, დაისვას სკოლის აღდგენის საკითხიც... ამჟამად, შესწავლის პროცესში ვარ, უნდა შევისწავლოთ ყველა ნიუანსი: ბავშვები, რომლებიც იქ სწავლობდნენ, სად არიან, მეთოდოლოგიურად რისი გაკეთება სჯობს... ჯერ დასკვნა არ წარმოდგენილა და, შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილებასაც ვერ მივიღებთ“.**

რადგან შენობა სახელმწიფო ბალანსზეა, „ვერსია“ ეკონომიკის სამინისტროს დაუკავშირდა, საიდანაც სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გადაგვამისამართეს, ამ უკანასკნელში კი განგვიცხადეს, რომ ლაღიძის 7-ში მდებარე შენობის ნაწილი გასხვისებულია, ნაწილი კი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. საჯარო რეესტრის საიტიდან ირკვევა, რომ ლაღიძის 7-ში არსებული ქონების გასხვისება 2009 წლის ივნისიდანაა დაწყებული, ბოლო ოპერაცია კი, 2013 წლის 11 მარტს შესრულდა.

## ვერსიანიუსი

### კოცნა არ იკრძალება! ალკოჰოლური სასმელის მიღებაზე პასუხისმგებლობა მკაცრდება



ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევაზეც მკაცრდება. ამ მიმართულებით შსს პარლამენტს კანონში დამატებით ახალი ჯარიმების ჩადების ინიციატივით მიმართავს.

პარლამენტში ინიცირებული პროექტის თანახმად, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (დღეს ამ დარღვევაზე კანონი ასეთ სანქციას: შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე დაჯარიმებას აწესებს). ალკოჰოლური სასმელების საცალო ვაჭრობის ობიექტებში, არასრულწლოვანისთვის ალკოჰოლური სასმელის მიყიდვის ამკრძალავი საინფორმაციო ბანერის მყიდველისათვის არათვალსაჩინო ადგილზე განთავსება გამოიწვევს სავაჭრო ობიექტის 100 ლარის ოდენობით დაჯარიმებას. ზემოთ აღნიშნული ქმედებების წლის განმავლობაში განმეორება გამოიწვევს სავაჭრო ობიექტის 300 ლარის ოდენობით დაჯარიმებას. გარდა ამისა, 500 ლარით დაჯარიმდება ობიექტი, თუ ის ალკოჰოლურ სასმელს არასრულწლოვანს მიყიდის. ამ ქმედების განმეორების შემთხვევაში მას 1000- ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით აღნიშნული ზომების მიღება არასაკმარისად ჩაითვლება, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღე-ღამემდე ვადით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით განმარტებაც გააკეთა. უწყების პრესსამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის თქმით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კოცნა არ იკრძალება: **„ამ კანონპროექტით კოცნა არ იკრძალება. საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში შეიძლება მოვიაზროთ გაშიშვლება, საზოგადოებრივ ადგილებში მოსაქმება, სხვა უხამსობა და არა პაემანი ან კოცნა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთ ქმედებად. კანონპროექტში ძირითადი ცვლილებები ეხება ქუჩებში, სტადიონებზე, ტრანსპორტში და სხვა ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრებას“.**

ამ საკითხთან დაკავშირებით კანონი უკვე მოქმედებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტი კი მხოლოდ ჯარიმების გამკაცრებას ითვალისწინებს: „ესაა მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებები, რომელიც ჯარიმების ოდენობის შეცვლას შეეხება“. გიორგობიანის განმარტებით, კანონპროექტში, მთავარი აქცენტი ალკოჰოლური სასმელის მოხმარებისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობაზე კეთდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ამ მიმართულებით გადახედვის წინადადებით მიმართა და კანონში კონკრეტული ფულადი ჯარიმების განსაზღვრის ინიციატივით გამოვიდა. საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

*„ვერსიანიუსი“*

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის" კახეთიდან

# დაპირისპირება მეუფესა და მრევლს შორის

**ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს, მეუფე მელქისედეკს მრევლი დაუპირისპირდა. დედოფლისწყაროში მართლმადიდებლებმა ლოცვა პროტესტის ნიშნად დატოვეს და მეუფე მელქისედეკი ღვთისმსახურებას ცარიელ ტაძარში აღავლენდა. სამასზე მეტი ქრისტიანი ლოცვის დასრულებასა და მეუფესთან გასაუბრებას საკათედრო ტაძრის ეზოში ორი საათი ელოდა. ისინი ეკლესიაში შესვლაზე უარს აცხადებდნენ და დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძის დაბრუნებას კატეგორიულად ითხოვდნენ. საპროტესტო აქციას „ვერსია" ექსკლუზიურად ესწრებოდა. დედოფლისწყაროში მრევლის აღშფოთების მიზეზი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელო კრება გახდა, სადაც გაირკვა, რომ ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე გაათავისუფლეს და მას სოფელ სამთაწყაროში გადასვლა დაავალეს.**



დედოფლისწყაროელები მეუფე მელქისედეკს ბრალდებებს უყენებენ და ტაძარში დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძის დაბრუნებას ითხოვენ

ამბობენ, რომ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის შექმნის შემდეგ მეუფე მელქისედეკმა დედოფლისწყაროში მოღვაწე სასულიერო პირების ჩაგვრა დაიწყო, სანაცვლოდ, სხვა ქალაქებიდან ჩამოყვანილ მღვდლებს აწინაურებენ... ამას გარდა, გაძვირდა სანთელი და სეფისკვერი, რაშიც მრევლი მეუფის პირად ინტერესებს ხედავს... იმაზეც საუბრობენ, რომ მეუფეს განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდა შესაწირ ყუთებთან — მისი მოსვლის შემდეგ ისინი მუნიციპალიტეტის სავაჭრო ობიექტებში საგრძნობლად მომრავლდა.



პატრიარქის ბრძანების ასლი და ეპარქიის სკანდალური კრების ფოტომასალა ექსკლუზიურად „ვერსიისთვის"

ეპარქიის სამღვდელო კრებას ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი ეპისკოპოსი მელქისედეკი ხელმძღვანელობდა. კრებაზე განიხილეს ეპარქიაში არსებული მდგომარეობა, მეუფემ სამღვდელოებისაგან მრევლის პრობლემების შესახებ მიიღო ინფორმაცია, რის შემდეგაც, მათ კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ბრძანება N77 გააცნო.

„ვერსიამ" ბრძანების ასლი და კრების ამსახველი ფოტომასალა მოიპოვა.

პატრიარქის ბრძანების თანახმად: **„ა.წ. 1 ივლისიდან ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე გათავისუფლდეს აღნიშნული ტაძრიდან, გადაყვანილ იქნას სოფელ სამთაწყაროში წმიდა ნინოს სახელობის სამლოცველოში წინამძღვრად და დაევალოს ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა".**

ამ გადაწყვეტილების გავრცელების შემდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა ქალაქ დედოფლისწყაროში, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში. მრევლი ტაძარში შესვლას მანამ არ აპირებს, სანამ ღვთისმსახურებას კვლავ დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე არ აღავლენს.

„ჩვენი სულიერი მოძღვარი წაგვართვეს", „მამა ნიკოლოზის გარეშე ტაძარი დაიცლება და მრევლს დაკარგავს", „ნიკოლოზის გარდა, აღსარებაზე არც ერთ მოძღვართან არ მივალთ", „აღარ მაქვს ტაძარში მოსვლის სურვილი", „მთელი დედოფლისწყარო გაერთიანდება და მამა ნიკოლოზის გვერდით დადგება", „ეპარქიის შექმნის შემდეგ მამა ნიკოლოზს ჩაგრავენ და მისი ჩამოშორება სურთ" — ამგვარი ფრაზები ისმოდა აქციაზე.

საკათედრო ტაძრის ეზოში შეკრებილ მრევლთან სასაუბროდ მეუფე მელქისედეკი ლოცვის დასრულებისთანავე, საღამოს 7 საათისთვის გავიდა, აქციის მონაწილეებთან კამათში ჩაერთო, მრევლს საქციელი დაუწუნა, მკაცრი ტონით უსაყვედურა და ეკლესიის რამდენიმე მსახურის მიმართ სადამსჯელო ზომებიც გაატარა — მელქისედეკმა მგალობლები და მედავითნე დასაჯა, მრევლის რამდენიმე აქტიურ წევრს კი უზიარებლობის ეპიტამია დაადო.

„ჩვენი ეპარქიის დიდი წმინდანის მიხეილ ყულოშვილის ხსენების დღე გვაქვს, ტაძარში მსახურება ტარდება და გარეთ დგახართ. რა არის ეს? ეს არის მრევლი? თუ რამე პრობლემაა, ერთად ვილოცოთ და შემდეგ გადავწყვიტოთ საქმე, მაგრამ თქვენ მორწმუნეობის, ეტყობა, აღარაფერი გაქვთ!..

— შეურაცხყოფას გვაყენებთ, მეუფევ! ჩვენ აღარ გვაქვს?.. (ხმაური)

— ერთი წუთით, ერთი წუთით! ეს გასწავლათ მამა ნიკოლოზმა, რომ ასე მოიქცეთ? ამდენი ამიტომ იწვალა მამა ნიკოლოზმა? ვინმე გართმევთ მამა ნიკოლოზს? ეს არის უწმინდესის დავალება, რომ მამა ნიკოლოზმა, როგორც დიდი გამოცდილების მქონე სასულიერო პირმა, ტაძრის მშენებლობას სამთაწყაროში უხელმძღვანელოს".

სამასზე მეტი ადამიანი რიგრიგობით ერთვებოდა საუბარში და გადაწყვეტილების შეცვლას ყველა საკუთარი არგუმენტის მოშველიებით ცდილობდა. ყველა მამა ნიკოლოზის მნიშვნელობასა და მისი დარჩენის აუცილებლობაზე საუბრობდა, იყო დაძაბული ვითარებაც, ხმამაღალი საუბრებიც და თხოვნაც.

ტაძრის მედავითნე გულნაზი წერეთელი ერთ-ერთია, ვინც პროტესტის გამოხატვის გამო, მეუფე მელქისედეკმა საჯაროდ დასაჯა და სამომავლოდ, მას ტაძარში ლოცვების კითხვა აუკრძალა. დასჯის ეს მეთოდი გულისხმობს, რომ მას სხვა ტაძრებში მსახურებაც აეკრძალა.

„ვერსია" **გულნაზი წერეთელსაც** ესაუბრა: **„ასე მგონია, მეუფემ ეს იუმორით თქვა. ვფიქრობ, ჩემი მოძღვარი მამა პეტრე დამტოვებს და მეუფე ამის ნებას დართავს. თუ ამიკრძალავენ და მომავალში აღარ მექნება მსახურების უფლება, დავემორჩილები, ჩვეულებრივად მრევლში დავდგები და მოვისმენ. ვფიქრობ, არ გაართულებს მეუფე ვითარებას. ალბათ, სიტყვის თქმისთვის დავისჯები. მეუფეს ვუთხარი, სიყვარული დავკარგეთ და მამა ნიკოლოზის წასვლით მრევლი უფრო დაიქსაქსება-მეთქი. დავიღალეთ და ხმა ხომ უნდა ამოვიღოთ?! ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ ფაქტია, მოხდა ისეთი რაღაცები, რაც არ უნდა მომხდარიყო".**

მელქისედეკმა ტაძრის ეზო ტელეკამერების გამოჩენისთანავე დატოვა. ტაძარში შებრძანდა და მრევლს დაშლისკენ მოუწოდა. იგივე მითითება მისცეს სხვა მღვდელმსახურებსაც.

მალე სასულიერო პირებმა ეპარქიის რეზიდენციაში გადაინაცვლეს. ეპარქიის მღვდელმსახურები მრევლის მოთხოვნებს განიხილავდნენ და აცხადებდნენ, რომ შესაძლოა, გადაწყვეტილება შეიცვალოს. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიიდან მრევლის ერთმა ნაწილმა ეპარქიის რეზიდენციასთან გადაინაცვლა და მცირე საპროტესტო აქცია იქაც გაგრძელდა.

სხდომის დასრულების შემდეგ მიღწეულ შედეგებზე არ უსაუბრია **ნიკოლოზ ლომსაძეს**, თუმცა მოკლე კომენტარი მაინც გააკეთა. აღნიშნა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდა: **„ძალიან გთხოვთ, დავმშვიდდეთ, დავწყნარდეთ, გულში არაფერი ჩაიდოთ, ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან გთხოვთ, ყველა ვღელავთ, მრევლიც ღელავს და სიმშვიდისკენ მინდა მოვუწოდო. რა თქმა უნდა, ღვთისმსახურებას ისევ აღვასრულებ, უბრალოდ, გადამიყვანეს სოფელ სამთაწყაროში, რომ იქ პრობლემებს მივხედოთ. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის ტაძარში შევასრულებ თუ არა ღვთისმსახურებას, ეს ალბათ, მალე გადაწყდება".**

მამა ნიკოლოზის ტაძარში დაბრუნების მოთხოვნით, მრევლმა პატრიარქს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა, აქციის მონაწილეებმა ხელმოწერები შეაგროვეს. წინასწარი ინფორმაციით, უკვე არსებობს 900-ზე მეტი ხელმოწერა.

პროტესტი მეორე დღესაც გაგრძელდა. ლოცვის პარალელურად, მრევლი კვლავაც ტაძრის გარეთ შეიკრიბა.

**„ფაქტია, მამა ნიკოლოზი და მრევლიც მეუფეს დიდი სიხარულით დახვდა. ეპარქიის შექმნა დიდ იმედებს გვაძლევდა ყველას, მაგრამ ძალიან მალე შევამჩნიეთ დაძაბულობა ეკლესიაში. შენდობას ვითხოვ, მაგრამ ვფიქრობ, ეკლესიიდან დაძაბულობა კი არა, სიყვარული და ერთიანობა უნდა მიიღოს მრევლმა. ტაძრების აშენება დიდი საქმეა, მაგრამ მამა ნიკოლოზმა თავის მრევლში, პირველ რიგში, საყოველთაო ქრისტიანული სიყვარული დაამკვიდრა. ალბათ, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი მის ღვაწლში და სწორედ ამიტომ გვიყვარს იგი. დღევანდელი დღე, ალბათ, ყველაზე მძიმე მამა ნიკოლოზისთვისაა, მაგრამ დაძაბულობას, ალბათ, ვითარების განმუხტვა სჯობს. კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო, რომ მამა ნიკოლოზი ჩემთვის ნამდვილი ქრისტიანის განსახიერებაა. იქნებ მისი სამთაწყაროში წასვლა მართლაც კარგი იყოს სამთაწყაროელი მრევლისთვის, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, დედოფლისწყაროშიც ემოღვაწა და სამთაწყაროშიც ჩაეტარებინა წირვა? ვუერთდები მრევლის აზრს და უმორჩილესად ვთხოვ მეუფეს, დატოვოს მამა ნიკოლოზი დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვრად",** — აცხადებს მრევლი ამირან კოდიაშვილი.

**„მამა ნიკოლოზის სამთაწყაროში გადაყვანა, არ მგონია, სწორი გადაწყვეტილება იყოს. ეპარქიის აღდგენამდე მამა ნიკოლოზის უშუალო ღვაწლით აშენდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. 2009 წლიდან თითქოს ყველაფერი დამთავრდა, გაიყინა და მრევლიც დაბრკოლდა. პატიებას ვითხოვ უფლისა და ყველასგან, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ეპარქიის შექმნას უნდა შემოეტანა ახალი ძლიერი მუხტი. რატომ ხდება პირიქით? ჩნდება კითხვა, ხომ არ სწყინს ვინმეს მამა ნიკოლოზის დიდი ავტორიტეტი? მიმაჩნია, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ მამა ნიკოლოზს მიეცემოდა უფლება, სამთაწყაროში განეხორციელებინა ზედამხედველობა (არ ვიცი, ეს როგორ შეიძლება, მაგრამ ფორმების მოძებნა შესაძლებელია). მას ყველა დაუდგებოდა გვერდით და შედეგიც იქნებოდა. ახლა კი, ხალხი დაბრკოლდა და მიიჩნევს, რომ მათ მოძღვარს ავიწროებენ. დროა, დავიწყოთ შენება, დავივიწყოთ უკვე შექმნილის ნგრევა. ეს ჩემი და ჩემი მეგობრების აზრია",** — მრევლის, ვახტანგ კიკილაშვილის ამ პოზიციას დედოფლისწყაროში არაერთი ადამიანი იზიარებს. შეიცვლება თუ არა გადაწყვეტილება და მისცემენ თუ არა მამა ნიკოლოზს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში მსახურების უფლებას, ჯერჯერობით, უცნობია.

## ვერსიანიუსი

# „მუსლიმები და ქრისტიანები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ"



სამთაწყაროს მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობისა და მართლმადიდებელი ქრისტიანების ნაწილი საქართველოს პატრიარქს, ილია მეორეს 10 ივლისს შეხვდა. სამთაწყაროელებმა პატრიარქს მთავრობასთან შუამდგომლობა სთხოვეს, რათა გაყიდული სახნავ-სათესი მიწები კვლავ მოსახლეობას დაუბრუნდეს. სამთაწყაროელი სიმონ ცინცაძეს თქმით, **„სოფელში ძალიან ბევრი სოციალური პრობლემაცაა. არ აქვთ წყალი. საინგილოსთან დამაკავშირებელი გზები ჩაკეტილია".** პატრიარქმა სამთაწყაროელებს უთხრა, რომ პრობლემები აუცილებლად მოგვარდება: **„ღვთის დახმარებით, ყველაფერი კარგად იქნება. არც მეფეს, არც პრეზიდენტს და არც პატრიარქს აქვს უფლება, მიწები გაყიდოს... უნდა ვილოცოთ ერთად და ღმერთი აუცილებლად დაგვეხმარება".** მუსლიმ სულიკო ცინცაძეს თქმით, მათსა და მართლმადიდებლებს შორის კარგი ურთიერთობაა, მეგობრობენ და ერთმანეთს ლოცვაში ხელს არ უშლიან. იგივეს ამბობს მართლმადიდებელი თემო ჯაიანი.

პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ ძალიან გაუკვირდა, როდესაც მუსლიმ და ქართველ ხალხს შორის უთანხმოებაზე იყო საუბარი. უწმინდესმა ბავშვობაც გაიხსენა: **„დავიბადე ყაზბეგში. ხშირად გვსტუმრობდნენ მუსლიმანი ქისტები. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დედა და ბებია ყველაზე კარგ ოთახში აგებდნენ ხალიჩებს, რომ მათ ელოცათ. ჩვენ ხატების წინ ვლოცულობდით, შემდეგ კი, ერთად ვსხდებოდით სუფრასთან. ღმერთი ერთია და ამიტომ, მუსლიმები და ქრისტიანები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ. ჩვენთვის ერთიცა და მეორეც შვილები ხართ და არავის დავაჩაგვრინებთ. ვისაც ლოცვა მოგინდებათ, შეგიძლიათ, ჩემთან მოხვიდეთ. ერთმანეთს უნდა დაეხმაროთ. მსურს, ჩამოვიდე თქვენს სოფელში და პირადად მოვინახულო სამთაწყარო. პროვოკატორებს არ უნდა მოუსმინოთ. ღვთის მადლით, მშვიდად უნდა ვიყოთ და ღმერთი ვადიდოთ".**

*„ვერსიანიუსი"*




# „საქართველოში კაშკაშა სასახლეები ტოტალური გამჭვირვალობის გარანტი არ არის“

„საქართველო: საკმარისია თუ არა პოლიციის შუშის შენობები კორუფციის დასამარცხებლად?“, — ამ სათაურით აქვეყნებს ბრიტანული BBC სტივ როზენბერგის სტატიას საქართველოს შესახებ. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ათი წლის წინ, საქართველოს კორუფციული ქვეყნის რეპუტაცია ჰქონდა. პოლიტიკურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი რეფორმები მოიტანა, მათ შორის, საყოველთაოდ ნაქები პოლიციის შუშებიანი შენობები: **„ბოლო წლებში, თბილისმა – ამ უძველესმა ქალაქმა, თანამედროვე ელვარება შეიძინა გამჭვირვალე შენობებით, რომელიც ერთი შეხედვით, მანქანის შოურუმებს ჰგავს, თუმცა ახლოდან თუ დააკვირდებით, ეს პოლიციის შენობებია – სიმბოლო ახალი გამჭვირვალობისა, რომელსაც საქართველო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ახორციელებს“.**

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენლის, მარკ მალენის სიტყვებს, რომელიც მასთან საუბარში აცხადებს, რომ ქართველები კორუფციას სიამაყის გრძნობით უყურებდნენ: **„ქართველებისთვის უამრავი ისეთი სიტყვა არსებობს, რომლითაც ამართლებენ სიეშმაკეს. მაგალითად, „მაღარიჩი“, რაც „საჩუქარს“ გულისხმობს. საქართველოში, რომელიც პატარა ქვეყანა იყო დიდ იმპერიებს შორის, პატივს სცემენ ოჯახსა და მეგობრებს“.**

BBC-ის კორესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოს კორუფცია ახრჩობდა – ქრთამი სჭირდებოდა მშენებლობის ნებართვასა და კომპანიის დარეგისტრირებას, სამსახურის დაწყებას, მათ შორის, საგზაო პოლიციაშიც. ამ ყოველივეს შედეგი კი, თავიდან ბოლომდე გახრწნილი სისტემა იყო. **„ზოგიერთები ფულს იმაშიც იხდიდნენ, სახლში რომ შუქი ჰქონოდათ, რადგან იმ პერიოდში დენი გრაფიკით მიეწოდებოდათ. თუმცა 2003 წელს ცვლილებების განხორციელება დაიწყო. ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა და ქართველებს იმას შეპირდა, რაც მათ არასოდეს ჰქონიათ – გამჭვირვალობას; პოლიციის გამჭვირვალე განყოფილებებსა და განახლებულ პოლიციას“,** — წერს სტივ როზენბერგი და პოლიციის ქართველი კაპიტნის, ნინო ღვინიანიძის კომენტარს ციტირებს. ღვინიანიძე აცხადებს, რომ წარსულში ბევრი ადამიანი ცდილობდა პოლიციისთვის ქრთამის შეთავაზებას, თუმცა ახლა, ყველამ იცის, რომ პოლიციელები ფულს არ იღებენ.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ გამჭვირვალობა მხოლოდ პოლიციას არ შეეხო. საქართველოს ხელისუფლებამ საჯარო მომსახურების უდიდესი სახლები გახსნა, სადაც ქართველებს დოკუმენტების აღება ქრთამის მიცემის გარეშე შეუძლიათ, რაც ადრე არ ხდებოდა: **„როგორც ჩანს, პოლიციისა და საჯარო სერვისის სახლების ქრთამისგან გაწ-**


BBC | News | Sport | Weather | Capital | Culture | Autos
NEWS EUROPE
Home | UK | Africa | Asia | Europe | Latin America | Mid-East | US & Canada | Business | Health | Sci/Environm
10 July 2013 Last updated at 00:54 GMT
Share

## Georgia: Are glass-walled police stations enough to tackle corruption?

By Steve Rosenberg
BBC News, Tbilisi

**A decade ago, Georgia had a terrible reputation for corruption. Political changes brought about substantial reform - including much-vaunted glass-walled police stations - but have the issues really been dealt with?**

In recent years, the ancient city of Tbilisi has acquired something of a modern sparkle, with glass palaces popping up across Georgia's capital. At first glance, they look like car showrooms.

On closer inspection, they're police stations - see-through to make the officers inside more accountable to the public.

Related Stories
Map: Which country pays the most bribes?
Corruption getting worse, says poll
Bribery is 'exactly the same' world over

**მენდით, საქართველომ შეუძლებელი მისიის შესრულება შეძლო. მსოფლიო გამჭვირვალობის რეიტინგში, სადაც საქართველო ბოლოსკენ იმყოფებოდა, დაწინაურდა და ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფოსაც კი გადაასწრო, თუმცა ზოგიერთი ქართველი ჩივის, რომ მათ ახალ გამჭვირვალე სისტემას მკაცრი შეზღუდვები აქვს“.**

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, საქართველოს უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანიის ყოფილ მფლობელ მამია სანადირაძესთან შეხვედრისას, ქართველმა ბიზნესმენმა მას განუცხადა, რომ ის ხელისუფლება, რომელიც კორუფციას ებრძოდა, ბიზნესზე ზეწოლას ახდენდა, პრობლემები კი ხელისუფლებასთან მაშინ შეექმნა, როდესაც შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ინტერნეტმომხმარებელთა საიდუმლო მოსმენების განხორციელება დაავალა.

„უარი ვუთხარი, მათ კი მიპასუხეს, რომ სავარაუდოდ, მომავალში პრობლემები შემექმნებოდა“, — ციტირებს ჩ-ის კორესპონდენტი მამია სანადირაძის კომენტარს, რომელიც აცხადებს, რომ ამ შემთხვევიდან ძალიან მალე მას 7,45 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრა საგადასახადო სამსახურმა.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ გასული წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, რომელსაც სათავეში სააკაშვილის მეტოქე, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგა: **„მისი აზრით კი, ანტიკორუფციული სახელმწიფო, რომელიც მემკვიდრეობით ერგო, გამჭვირვალობის შუქურა არ არის“.** სტივ როზენბერგი პრემიერ-მინისტრის სიტყვებსაც ციტირებს. ივანიშვილი სტატიის ავტორთან საუბარში აცხადებს, რომ წინა ხელისუფლება წარმატებით ებრძოდა კორუფციას ქვედა და საშუალო დონეზე, **„თუმცა შემდეგ, ეს ფული მაღალ საფეხურზე მყოფთა შორის ნაწილდებოდა და საქართველოში ელიტური კორუფცია ყვაოდა“.**

ივანიშვილის საპასუხოდ, როზენბერგს მოჰყავს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კომენტარი, რომელიც უარყოფს პრემიერის ბრალდებებს:

**„შეგიძლიათ, იმის თქმა, რომ სასამართლო სისტემა ბოლომდე დამოუკიდებელი არ იყო და დაგეთანხმებით... დაგეთანხმებით იმაზეც, რომ პროკურორები თავიანთ უფლებებს აჭარბებდნენ, თუმცა ქრთამს არავინ იღებდა, ფულს არავინ იპარავდა და ერთადერთი მიზანი, რის გამოც, ისინი ზოგჯერ თავიანთ უფლებებს აჭარბებდნენ, იმის მცდელობა იყო, ქვეყანაში კორუფციის დაბრუნება არ დაეშვათ“.**

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ მიუხედავად პრეზიდენტის განცხადებებისა, ის ცოტა ხნის წინ საკუთარი მიზნებისთვის საზოგადოებრივი თანხების ხარჯვაში დაადანაშაულეს — ათასობით დოლარს ხარჯავდა სასტუმროს ძვირფას ნომრებსა და გასალამაზებელ პროცედურებზე ნიუ იორკში, მათ შორის ბოტოქსზე. **„შემომხედეთ, ხედავთ რაიმეს (ბოტოქსის კვალს)? შეხედეთ პრემიერ-მინისტრსა და მის მეგობარ პუტინს და ნახავთ ჩვენს შორის განსხვავებას. სად არის ის „უმიზნოდ“ გახარჯული და მოპარული მილიონები და მილიარდები? – არსად იმიტომ, რომ ეს ქვეყანა სუფთა იყო“,** — ციტირებს სტივ როზენბერგი მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს.

სტატიის ავტორი მარკ მალენის სიტყვებსაც წერს, რომლის თქმითაც, მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ყოფილი მინისტრებისა და პარტიის მაღალჩინოსნების დაკავება პოლიტიკურადაა მოტივირებული. სტივ როზენბერგის აზრით: **„საქართველომ ბევრს და სწრაფად მიაღწია. ქვეყნის ისტორიაში არასოდეს ყოფილა აქამდე ასე რთული კორუფციის მიჩქმალვა, თუმცა საქართველოში განვითარებული მოვლენები მიუთითებს, რომ კაშკაშა სასახლეები არ არის ტოტალური გამჭვირვალობისა და კანონის უზენაესობის გარანტია, სანამ თავიანთ შუშის სახლებში მყოფი პოლიტიკოსები ქვებს ისვრიან“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# საპატრიარქო იშხნის სარესტავრაციო სამუშაოებში ქართველი ექსპერტების ჩართვას ითხოვს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტის, თეოდორე ჭუაძის განცხადებით, იშხანზე გუმბათის დასადგმელად სამუშაოები ქართველი სპეციალისტების გარეშე მიმდინარეობს. მეუფე თეოდორე, რომელიც მომლოცველებთან ერთად იმყოფებოდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, კერძოდ — იშხანში, აცხადებს, რომ მშენებლობაზე უსაფრთხოების დაცვის მოტივით, იშხნის ტაძრის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. სარესტავრაციო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მცირე ეკლესიის კედელზე ჩამონგრეული ქვები უკვე ამოშენებულია და ახლითაა შეცვლილი, ძველი ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადი კი მთლიანად ამოყვანილია: „ახლა ტაძარს თაღს ადგამენ — ქვების ერთი პირი უკვე გადაყვანილია. ეს კონსტრუქციულად რთული შესასრულებელია. თაღი რომ დაედგმება კედელს, თუ კონსტრუქცია გათვლილი არ არის, კედელი შეიძლება მთლიანად დაიშალოს. ვერ დავდებ თავს, რამდენადაა კონსტრუქცია გათვლილი. საჭიროა, ქართველი სპეციალისტები სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში დროებით მაინც დაუშვან, სანამ საქართველოსა და თურქეთს შორის ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდება“.

მეუფე თეოდორე ამტკიცებს, რომ იშხანში არქეოლოგია უკვე განადგურებულია. ერთადერთი რჩება — შენარჩუნდეს ტაძრის კონსტრუქცია და იგი მთლიანად არ დაინგრეს. **„გაუძლებს იშხნის ტაძრის კედლები ამხელა გუმბათის დადგმას? არის პროექტი ამაზე გათვლილი? ეს არავინ იცის“,** — აცხადებს მეუფე თეოდორე.

საპატრიარქოს წარმომადგენლის განცხადებას საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი გამოეხმაურა. მისი თქმით, საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება დღემდე პრეზიდენტის ადმინისტრაციაშია და ხელშეკრულებაზე პრეზიდენტის შენიშვნები თუ კომენტარები სამინისტროში არ შესულა: **„სხვა უწყებათაშორისი კონსულტაციები ხელშეკრულების პროექტს გავლილი აქვს, ამდენად, იგი თურქეთის მხარეს ვერ გადაეგზავნა და მთლიანად თურქეთის კეთილ ნებაზე ვართ დამოკიდებულნი. რამდენჯერმე გამოავლინეს ეს კეთილი ნება, მაგრამ დღესაც ასეთი მდგომარეობაა“.**

მიზანდარისვე თქმით, საქართველოს კულტურის სამინისტროს სურვილი აქვს, თურქეთის მხარემ იშხნის სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობისას, დაუშვას ქართველი სპეციალისტები, მაგრამ ეს რთულია: **„თურქეთის მხარესაც თავისი ადმინისტრაციული დაბრკოლებები აქვს... როდესაც იურიდიული ფორმატი სახელმწიფოთა შორის არ არსებობს, ძნელია, შენს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციის პროცესში სულ ვიღაც ჩართო. ამას სჭირდება ხელშეკრულება, ლეგალური ფორმატი, რომელიც დღეისთვის არ გვაქვს“.**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი თებერვლის ბოლოს გადაუგზავნა, მაგრამ საქართველოსა და თურქეთში საერთო კულტურის ძეგლების რესტავრაციის პროექტს სააკაშვილი ხელს არ აწერს. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პროექტი რაბათზე ცვლილებების განხორციელებას ითვალისწინებს, რომელიც არა თურქული მხარის, არამედ საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივაა.

თურქეთში ქართველი სპეციალისტები იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ჩარჩოხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიშვებიან. თურქეთის მხარე რაბათში არსებული მეჩეთის გუმბათის ოქროსფერის, ასევე ცხაურებისა და აბანოს კომპლექსის რეაბილიტაციას ითხოვს.

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის დოკუმენტმა უწყებათაშორისი კონსულტაციის პროცესი თურქეთშიც უნდა გაიაროს. იშხანზე სარესტავრაციო სამუშაოები, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება.

მანამდე კი, ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ელდარ ბუბულაშვილი აცხადებს, რომ იშხნის ტაძარში რესტავრაციით თურქეთმა საკუთარი ნიშა ჩადო და ზომები სასწრაფოდ თუ არ მივიღეთ, იგივე ბედი, შესაძლოა, ოშკმაც გაიზიაროს.

*„ვერსიანიუსი“*

# „ქუთაისის მერის მოადგილეებმა საბოტაჟი მოაწყვეს“



ობიექტების ჩამონათვალი

ქ. ქუთაისში ლორთქიფანიძის ქუჩაზე ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |
| 1 | III კატ. გრუნტის დამუშავება თხრილში ექსკავატორით | მ³ | 223,20 |
| 2 | ხელით დამატებით დამუშავება | მ³ | 22,32 |
| 3 | გრუნტის გატანა ა/მანქანებით | ტნ. | 454,21 |
| 4 | საკანალიზაციო რკ/ბეტონის ჭის ძირის მოწყობა მ-200 ბეტონით (8 ცალი) | მ³ | 5,60 |
| 5 | კანალიზაციის რკ/ბეტონის ჭის კედლის რგოლების მოწყობა სახურავით დ=1,00 მ. H=1,00 | მ³ | 14,40 |
| | რკ/ბეტონის რგოლები | გრძ.მ. | 19,584 |
| | რკ/ბეტონის ფილები ძირისა და სახურავის | მ³ | 5,904 |
| | ლუქი თუჯის | ც. | 8,000 |
| 6 | კანალიზაციის პლასტმასის გოფრირებული მილების შეძენა მოწყობა დ=300 მმ. | გრძ.მ. | 186,00 |
| 7 | თხრილის შევსება ქვიშით მილის ზემოდან 10 სმ და თხრილის ფსკერზე 10 სმ. | მ³ | 37,20 |
| 8 | თხრილის შევსება ბალასტით | მ³ | 208,32 |
| 9 | შეჭრა არსებულ კანალიზაციის ჭებში | ადგ. | 1,00 |
| | ჯამი | | |
| | ზედნადები ხარჯები | 0% | |
| | ჯამი | | |
| | გეგმიური დაგროვება | 0% | |
| | ჯამი | | |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 0% | |
| | ჯამი | | |
| | დღ.გ. | 18% | |
| | ჯამი | | |

## რა დარღვევებით ჩატარდა ოთხი ტენდერი და რაში ამხელს კოპალიანის მოადგილე თენგიზ თოფურიძე მერიის ყოფილ თანამშრომლებს

რუსუდან შელია
557-100-768

**ქუთაისის მერიაში რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო. უწყებაში აღმოჩენილი დარღვევების შემდეგ, ქალაქის მერმა დიმიტრი კოპალიანმა ორი მოადგილე გაათავისუფლა. რატომ ფიქრობს, რომ საპარლამენტო ქალაქის მერიაში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები საბოტაჟს აწყობდნენ და როგორ ცხადდებოდა ტენდერები ბიუჯეტში თანხის გათვალისწინების გარეშე? „ვერსია“ ქუთაისის მერის მოადგილეს, თენგიზ თოფურიძეს ესაუბრა.**

— ქუთაისის მერია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. კერძოდ, 2013 წელს, ქალაქის დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, ადგილობრივი შემოსავლების გეგმა 17 200 300 ლარით განისაზღვრა. ექვსი თვის მონაცემებით კი, წლიური გეგმის 42,3% შესრულდა. კრიტიკას ვერ უძლებს არაფინანსური აქტივების (ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიწის პრივატიზება) კლების მაჩვენებლის კუთხით გაწეული საქმიანობა: წლიური გეგმის დამტკიცებული პარამეტრი 4 587 000 ლარს შეადგენს, ფაქტიური შესრულება კი 4 354 000 ლარი დაფიქსირდა, რაც გეგმის 9,5%-ს უდრის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემოსული თანხების უმეტესობა 2012 წლის ბოლოს პრივატიზებული ობიექტების ღირებულებას შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღების მიმართულებითაც. გარდა ამისა, ქუთაისის მერიის სახელით, ოთხი ტენდერი დარღვევებითა და ბიუჯეტში არარსებული ფინანსებით ჩატარდა.

— **ტენდერი ფინანსების გარეშე როგორ გამოაცხადეთ?**

— სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერები ისე გამოცხადდა, ამ პროგრამების ბიუჯეტში სათანადო თანხები ასახული არ იყო. კერძოდ, საკანალიზაციო და წყლის სისტემის მოწყობის პროგრამის, ასევე ქუთაისში სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებზე ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1 001 000 ლარის ოდენობის აქტივი. აქედან ხელშეკრულება 807 831 ლარზე გაფორმდა, თუმცა კომპანიამ 536 625 ლარის სამუშაოები არ შეასრულა. 2012 წლის 28 მაისს ქუთაისში სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა, რომელიც 2012 წლის 19 ივნისს დასრულდა. გამარჯვებულად კომპანია „ინჟმშენი 96“ გამოცხადდა. აღნიშნული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება 603 658 ლარი იყო, კომპანიამ კი 479 997 ლარი გადაიხადა. პროგრამის გეგმა და შესრულებული სამუშაოების ეკონომია 139 673 ლარით მეტი იყო, თუმცა ირკვევა, რომ გამარჯვებულ ფირმას სამუშაოების დასასრულებლად 15 612 ლარი არ ჰყოფნის. დაახლოებით, იგივე პრობლემა შეიქმნა საგზაო ნიშნების დამონტაჟების, მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოებისა და ფირნიშების დამზადება-გაკვრის პროგრამის ტენდერის შემთხვევაშიც. ამ ფაქტების ერთობლიობამ ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიან რეპუტაციას ჩრდილი მიაყენა.

— **კი, მაგრამ ქალაქის მერის მოადგილე თქვენ ხართ, დარღვევებზე პრეტენზიები ვის მიმართ გიჩნდებათ?**

— რამდენიმე დღის წინ სამსახურიდან ქუთაისის მერის ორი მოადგილე გავათავისუფლეთ, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებსა და კეთილმოწყობის სამსახურებს ხელმძღვანელობდნენ. ამ მიმართულებით სწორედ ეს ადამიანები იყვნენ პასუხისმგებლები. თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ კი ჩვენ გვდებენ ბრალს ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში. წარმოიდგინეთ, მთელ რიგ ქუჩებზე ტენდერი აბსოლუტურად არასწორად დაიგეგმა — ჯერ გზის საფარის შეკეთებაზე გადაწყდა ტენდერის ჩატარება, რის შემდეგაც წყალგაყვანილობისა და მიწისქვეშა გაყვანილობის შეკეთების ტენდერი გამოცხადდა. გამოდის, ჯერ გზები უნდა გავთხაროთ და მიწისქვეშა სისტემები ამის შემდეგ მოვაწესრიგოთ. კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ: ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე წყალგაყვანილობის სისტემა მოვაწესრიგეთ, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბიუჯეტში გადათხრილი ქუჩის მოწესრიგება გათვალისწინებული არ იყო. შესაბამისად, დღემდე გზა ასფალტის საფარის გარეშეა, ახალგაყვანილ სანიაღვრე სისტემაში კი ზედა ქუჩებიდან ჩამოსული ნაშალი გროვდება და ისევ მისი გაჭედვის საშიშროება დგას. გამოვიდა, რომ ფუჭი შრომა გავწიეთ.

— **ანუ ქუთაისის მერიაში, ფაქტობრივად, საბოტაჟის ნიშნები ვლინდებოდა. ამას ყურადღება დროულად რატომ არ მიაქციეთ?**

— დიახ, ეს სწორედ საბოტაჟი იყო, რომელსაც ქუთაისის ამჟამად გათავისუფლებული ვიცე-მერი ხელმძღვანელობდა. ეს ის ადამიანია, რომელმაც საკრებულოს სხდომაზე სკამი მესროლა და უწმაწური სიტყვებითაც გამიმასპინძლდა. გარდა ამისა, მან თანამშრომლები და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ქუთაისის მერიის შენობის წინ გამოიყვანა და საჯაროდ მოუხადა ბოდიში იმის გამო, რომ თურმე, უწყება მოსახლეობას სათანადოდ ვერ მოემსახურება. არაერთხელ მოგვივიდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი მერიაში თანამშრომლებს საბოტაჟისკენ მოუწოდებდა. როცა საბოლოოდ გადავამოწმეთ ინფორმაცია და მის სისწორეში დავრწმუნდით, მათი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მივიღეთ.

— **არც ისე დიდი ხნის წინ, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ ქუთაისის მერის იმპიჩმენტზეც საუბრობდა. დიმიტრი კოპალიანი დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს თუ ეს მხოლოდ მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ნაწილია?**

— დიმიტრი კოპალიანი 23 წელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და მხოლოდ ერთი თვეა, ქუთაისის მერი გახდა. შესაბამისად, მას ჯერჯერობით, არ მიეცა ყველაფერზე რეაგირების საშუალება. რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსის“ განცხადებებს, მათ იმპიჩმენტის დაწყებაზე არაფერი უთქვამთ. უბრალოდ, ქუთაისის მერისგან სამუშაოების დროული შესრულება მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორი ერთსულოვნებითაც მოიყვანეს მერის თანამდებობაზე, ასევე წარმატებით გადააყენებდნენ დაკავებული თანამდებობიდან. დიმიტრი კოპალიანმა, მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებზე სწრაფი რეაგირება მოახდინა, მობილიზება გამოაცხადა და მერიაში რეორგანიზაციის პროცესიც დაიწყო. პროცესი, მერის ორი მოადგილის გათავისუფლებით არ დასრულებულა. შესაძლოა, სამსახური სხვა პასუხისმგებელმა პირებმაც დატოვონ.



## მარიკა ვერულაშვილს უკანონო მშენებლობაში ამხელენ

ყვარლის მაჟორიტარ დეპუტატ მარიკა ვერულაშვილს მოსახლეობის ნაწილი კანონდარღვევაში ამხელს.

მოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მარიკა ვერულაშვილს ოფისის სამუშაოების წარმოებისთვის ნებართვა შესაბამისი სამსახურიდან არ აუღია და მისი თვითნებური ქმედება კანონსაწინააღმდეგოა.

**„ოფისის უნებართვოდ დაწყებულმა სარემონტო სამუშაოებმა სავალალო შედეგი გამოიღო და შენობის საყრდენი კედელი ჩამოინგრა. ნგრევის შედეგად შენობის კედლებს ბზარები გაუჩნდა, რაც ამ შენობაში განთავსებული სხვა სამსახურების თანამშრომლებისთვის სახიფათოა, რადგან, შესაძლოა, დაბზარული კედლები ნებისმიერ დროს ჩამოინგრეს“,** – აცხადებენ ადგილობრივები.

შენობის ფასადი რეაბილიტაციის ფარგლებში მოპირკეთდა. მოკვლევას ამ დროისთვის ყვარლის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახური აწარმოებს.

თავად დეპუტატი სატელეფონო ზარს ამ დროისთვის არ პასუხობს.

*„ფრონტ ნიუსი“*




## აფხაზეთი ჟენევის დისკუსიებში მონაწილეობაზე უარს იტყვის?

იმ შემთხვევაში, თუ ფორმატი არ შეიცვლება, ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლები ჟენევის დისკუსიებში მონაწილეობაზე უარს იტყვიან. ამის შესახებ ინფორმაციას, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩისლავ ჩირიკბა ავრცელებს. ჩირიკბამ, დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბთან შეხვედრისას განაცხადა: **„ჩვენ ვერ მოვახერხეთ ძალის გამოუყენებლობის შესახებ საკითხის განხილვა, ვინაიდან საქართველოს დელეგაციამ უარი განაცხადა, მონაწილეობა მიეღო ახალი ფორმატის სხდომებში, რომლებიც ჩვენ შევთავაზეთ და რომელსაც თანათავმჯდომარეებმა მხარი დაუჭირეს. მათ საკითხის განხილვის ჩაშლა მოახერხეს და შეხვედრა დროზე ადრე დავასრულეთ. ჩვენი ვუსურვეთ თანათავმჯდომარეებს, ქართული დელეგაციისგან მიაღწიონ იმის შესრულებას, რაზეც აქამდე მოვედით. თუ ეს არ მოხდება, მომდევნო რაუნდში მონაწილეობას არ მივიღებთ. თუ ყველაფერი იგივე იქნება, იქ არაფერი გვესაქმება. აქამდე არსებული ფორმატი დაძველდა და ვერ ამართლებს. შემდეგი რაუნდის ჩატარებას საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებამდე აზრი არ აქვს“.**

თავის მხრივ, ალექსანდრე ანქვაბმა აღნიშნა, რომ როცა არგუმენტები არ არსებობს, ქართულ დელეგაციას წასვლა და შეხვედრის ჩაშლაღა რჩება: **„ჩვენ ერთმნიშვნელოვნად განვაცხადეთ, რომ ფორმატი შესაცვლელია. დაველოდოთ, იქნება თუ არა კონსტრუქტივიზმი მომავალში. საქართველოს მხარეს ამის შანსი ჯერ რჩება“.**

ჩირიკბასგან განსხვავებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის ინფორმაციით, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს ძალიან მკაფიო და მტკიცე პოზიცია აქვთ სწორედ ჟენევის არსებული ფორმატის შენარჩუნებასთან დაკავშირებით და არ უჭერენ მხარს აფხაზეთის წარმომადგენლების წინადადებას.

ქართული მხარე იმედოვნებს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო, 25-ე რაუნდამდე, რომელიც 15-16 ოქტომბერს არის ჩანიშნული, თანათავმჯდომარეების მტკიცე პოზიცია განაპირობებს სხვა მონაწილეების დარწმუნებას, რომ შემდგომ რაუნდში მონაწილეობა მიიღონ.

*„პირველი“*



# ჰოროსკოპი
## 12 ივლისი

**ვერძი** — დღეს მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან მხოლოდ ასე შეძლებთ დაწყებული საქმის დასრულებას. შესაძლოა დანაკარგი და ფინანსური სირთულე, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ და თქვენს ცუდ განწყობას გარშემომყოფებსაც ნუ გადასდებთ.

**კურო** — დღეს თქვენი ეგოისტური ბუნება გამოვლინდება და ეს ცუდი სულაც არაა — ხანდახან საკუთარ თავზე ფიქრი არ გაწყენთ. დაისვენეთ, გაერთეთ, არ არის გამორიცხული საქმიანი შეხვედრა, სადაც მაქსიმალურად გამოავლენთ პროფესიონალიზმს.

**ტყუპები** — საქმის წარმატებით დასრულება ჯერ კიდევ არ არის უსაქმურობის საბაბი. დაუყოვნებლივ მოიკრიბეთ ძალა და იმოქმედეთ.  შესაფერისი დროა ახალი საქმის წამოსაწყებად.

**კირჩხიბი** — შესანიშნავად ართმევთ თავს სამუშაოს და დაწინაურების იმედიც უნდა გქონდეთ, თუმცა ზედმეტად თავდაჯერებული ნუ იქნებით და ახლობლების რჩევებიც გაითვალისწინეთ.

**ლომი** — შეეცადეთ, ზედმეტი მოთხოვნები არ წაუყენოთ არც საყვარელ ადამიანს და არც გარშემომყოფებს. დღეს შეძლებთ, ეფექტურად გაუმკლავდეთ დღის პირველ ნახევარში წამოჭრილ პრობლემებს, საღამოს კი, სჯობს, ყველა საქმე გადადოთ და დაისვენოთ.

**ქალწული** — დღეს ფინანსური ხარჯი გელით, ვარსკვლავები გირჩევენ, მეტი ყურადღება გამოიჩინოთ ახლობელი ადამიანების მიმართ, რადგან მხოლოდ სამსახური არსებულ სიცარიელეს ვერ შეგივსებთ.

**სასწორი** — რთული და წინააღმდეგობებით სავსე დღეა. ძირითადი დრო ყოველდღიური მოვალეობების შესრულებასა და რუტინულ სამუშაოს დაუთმეთ, ეს არსებული პირადი პრობლემების დავიწყებაში დაგეხმარებათ.

**მორიელი** — დღეს თქვენს საქმიან თვისებებს „საჭირო ადგილას" გამოავლენთ, რაც დადებითად აისახება კარიერაზე. დიდია ალბათობა კონტრაქტის გაფორმებისა, რომლის წყალობითაც თქვენი ბიზნესის წარმატება გარანტირებული იქნება.

**მშვილდოსანი** — მოემზადეთ გამოცდისა და სირთულეებისთვის, რომელთა გადალახვისას სიმშვიდე და მოთმინება უნდა შეინარჩუნოთ. ამით პრობლემების მოულოდნელ, მაგრამ საკმაოდ წარმატებულ გადაწყვეტას მიაღწევთ.

**თხის რქა** — დღეს ინტუიცია არ გიღალატებთ, მიენდეთ თქვენს შინაგან ხმას და ყველაფერი კარგად იქნება. ერთგვარ აურზაურს შემოიტანს ყველაფრის ერთბაშად მოგვარების სურვილი, მაგრამ უკეთესი იქნება, საქმეს თანმიმდევრულად მიხედოთ.

**მერწყული** — დღე კონფლიქტური და დაძაბულია, როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ეცადეთ გადაწყვეტილების მიღებისას ნაკლებად ემოციური იყოთ.

**თევზები** — თუ არ გინდათ სკანდალი ან პრობლემები სამსახურში, ხელს ნუ შეუშლით გარემოცვას აქტიურობაში. შეეცადეთ, თქვენს კომპანიონებთან ერთად, გუნდური პრინციპით იმოქმედოთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

# „უსაფრთხოების შორტები" რადიაციისგან დაგიცავთ



რადიაციულად უსაფრთხო ქვედა საცვლების ხაზი ახალგაზრდა ავსტრიელმა სტუდენტებმა აამოქმედეს. საკუთარ გამოგონებას მათ „უსაფრთხოების შორტები" უწოდეს. იდეის მიხედვით, ის ადამიანებს უნაყოფობისა და სხვა სამედიცინო პრობლემებისგან იცავს, რომელსაც მობილური ტელეფონებისა და ნოუთბუქებისგან მომდინარე რადიაცია იწვევს. თუ მობილურს ხშირად შარვლის ჯიბით ატარებთ, ესე იგი, უკვე რისკავთ საკუთარი ჯანმრთელობით. ყოველ შემთხვევაში, ტესტებმა დაადასტურა, რომ ტელეფონისგან მომდინარე რადიაცია ჯანმრთელობისთვის საშიშია. ახალგაზრდა გამომგონებლების მიერ შექმნილი შორტები კი ასეთი საფრთხისგან დაგიცავთ. საცვლების შესაქმნელად გამოყენებული მასალა ვერცხლის  ძაფს შეიცავს, რომელიც რადიაციის 99%-ს შთანთქავს. ავსტრიელი სტუდენტები იმედოვნებენ, რომ „უსაფრთხოების შორტები" მალე პოპულარული გახდება და ამით დიდ მოგებასაც ნახავენ. მათი შეძენა ავსტრიაში უკვე შესაძლებელია და ის 42 დოლარი ღირს.

# საყვარელი ფერი ადამიანის ხასიათზე მეტყველებს



ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ადამიანის ხასიათის ამოცნობის უამრავი მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი სწორედ ადამიანის საყვარელი ფერის მიხედვით შეცნობაა. ცნობილია, რომ წითელი ფერი სიხარულის, სიყვარულის, სილამაზის მანიშნებელია, თუმცა მას მეორე მხარეც აქვს და ის აგრესიულობის, შურის, მტრობის სიმბოლოდაც მიიჩნევა. თუ ადამიანი უპირატესობას სწორედ წითელ ფერს ანიჭებს, ის საკმაოდ თამამი, ძალაუფლების მოყვარე და კონტაქტურია. ხოლო ვისაც წითელი ფერი აღიზიანებს, მას არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს და განმარტოება უყვარს. თეთრი ფერი — სისუფთავის, უწიკვლობის, სიწმინდის სიმბოლოდ მიიჩნევა, თუმცა, შესაძლოა, საწინააღმდეგო მნიშვნელობის მატარებელიც იყოს — ის თითქოს შთანთქავს, ანეიტრალებს სხვა ფერებს. საბოლოოდ კი, სიჩუმის, სიცარიელისა და სიკვდილის სიმბოლოც კი ხდება. შავი ფერი, როგორც წესი, უბედურების, გლოვის, სიკვდილის ფერია. ის საკუთარ თავში დაურწმუნებლობის, ცხოვრებისადმი პესიმისტური დამოკიდებულების სიმბოლოც არის. მაგალითად, ადამიანებს, რომლებიც უპირატესობას შავი ფერის ტანსაცმელს ანიჭებენ, ცხოვრებას ხშირად მუქ ფერებში აღიქვამენ, მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მათი იდეალები ცხოვრებაში განუხორციელებელი დარჩება. ყვითელი ფერის მოყვარული ადამიანები საკმაოდ კონტაქტურები, ცნობისმოყვარე და თამამები არიან. სულ ადვილად შეუძლიათ დაიმსახურონ სხვების კეთილგანწყობა. თუკი საყვარელი ფერი ლურჯია, მაშინ ლაპარაკია მოკრძალებულ, მელანქოლიურ პიროვნებაზე. ამ ფერს ვერ იტანენ ისინი, ვისაც სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა უყვართ, თუმცა, სინამდვილეში, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანები არიან.

მწვანე ფერს უპირატესობას ისინი ანიჭებენ, ვინც სხვისი გავლენის ქვეშ ყოფნას გაურბის და თვითდამკვიდრებას ცდილობს, რადგან ეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ხოლო ვისაც მიზნის მიღწევა არ ძალუძთ, საერთოდ ვერ იტანენ მწვანე ფერს. ნარინჯისფერი უფრო მეოცნებე და კარგი ინტუიციის მქონე ადამიანის ფერია. ვარდისფერს კი მეტად მგრძნობიარე ადამიანები ანიჭებენ უპირატესობას — ისინი უმნიშვნელო მიზეზის გამოც კი ნერვიულობენ და ღიზიანდებიან. ვარდისფერი მიუღებელია პრაგმატული ადამიანებისთვის.



# ჰოროსკოპი
## 13 ივლისი

**ვერძი** — დღეს ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობას აწყდებით, ამიტომ სჯობს, არსებულ ვითარებას გაერიდოთ და განმარტოვდეთ. მხოლოდ ასე შეძლებთ მომავალი ბრძოლისთვის ძალების მოკრებას.

**კურო** — დღეს ოცნებებისა და ცდუნების ტყვე ხართ, თუმცა უმჯობესი იქნება, რეალობას თუ დაუბრუნდებით და სამომავლო გეგმებს კარგად გააანალიზებთ.

**ტყუპები** — დღე პატარა, მაგრამ დამაჯერებელი გამარჯვებით გაგახარებთ. საღამოს სასიამოვნო ცნობას მიიღებთ ან სიურპრიზს უნდა ელოდეთ საყვარელი ადამიანისგან. თქვენი დღევანდელი მოქმედება დიდ გავლენას მოახდენს შემდგომ მოვლენებზე.

**კირჩხიბი** — სადაც უნდა იყოთ დღეს, ბედი მაინც გიმზადებთ ნაცნობობას საინტერესო ადამიანთან. ბევრ საერთოს გამონახავთ და იფიქრებთ, რომ ერთმანეთს მრავალი წელია იცნობთ. მზად იყავით, რომ ორმხრივი სიმპათია, შესაძლოა, სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს.

**ლომი** — დღეს მაქსიმალურად მობილიზებული იყავით, რადგან მცირე შეცდომამაც კი, შესაძლოა, სავალალო შედეგი მოგიტანოთ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ და ნაკლებად გაუზიარეთ თქვენი სამომავლო გეგმები გარშემომყოფებს.

**ქალწული** — დღე შესანიშნავია საქმიანი შეხვედრისთვის არაფორმალურ ვითარებაში, გახსოვდეთ, რომ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება საუბრის წარმართვის თქვენეულ უნარსა და ქცევაზე, ბიზნესპარტნიორებთან საუბრისას მეტი თავშეკავება გამოიჩინეთ.

**სასწორი** — დღეს აუცილებლად უნდა შეიცვალოთ გარემო და განიტვირთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემების მოგვარებისთვის ენერგია არ გეყოფათ. ეცადეთ, დრო საყვარელი ადამიანის კამპანიაში გაატაროთ.

**მორიელი** — დღეს უამრავი საქმე გექნებათ გასაკეთებელი, სამსახურიც და ოჯახიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ მოთმინებით შეხვდით ნებისმიერ ცვლილებას და ვითარების შესაბამისად იმოქმედეთ.

**მშვილდოსანი** — დღეს ისე აქტიური არ იქნებით, როგორიც ჩვეულებრივ. სჯობს, კარგად დაისვენოთ და სამომავლო გეგმებზე დაფიქრდეთ.

**თხის რქა** — დღეს თავს უარს ნურაფერზე ეტყვით. თუ გემრიელად ჭამა მოგინდებათ, დაივიწყეთ ყველანაირი დიეტა და ჯანსაღი კვება. ხშირად ფსიქოლოგიური ფონი უმნიშვნელოვანესია, რაც სამომავლო საქმიანობაზეც აისახება.

**მერწყული** — გამართლება სიყვარულში, ახალი ნაცნობობა და ვნების ქარიშხალი — დღეს ეს ყველაფერი გელოდებათ და თავის არიდება ძალიან ძნელი იქნება. ურთიერთობებისგან გადაღლილი თუ ხართ, ახალი ნაცნობობა ენერგიას შეგმატებთ.

**თევზები** — დღეს სჯობს საკუთარ გარეგნობაზე იზრუნოთ, არ არის აუცილებელი, მოდის ახალ ტენდენციებს აჰყვეთ, მაგრამ იმიჯის შეცვლა უდავოდ პოზიტიურ გავლენას მოახდენს თქვენზე.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | | 4 | 5 | | |
| | 6 | | | | | | | |
| | 3 | | | | 8 | | | 6 |
| | 8 | | 6 | | 3 | 4 | | |
| | | 1 | | 8 | | 3 | | |
| | | 4 | 9 | | 5 | | 6 | |
| 5 | | | 2 | | | | 7 | |
| | | | | | | | 4 | |
| | | 3 | 1 | | | | | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | 4 | | 1 | |
| 2 | | | | | 6 | 3 | | |
| | 4 | 1 | | | | 9 | | |
| | | | | 2 | | | | |
| | 5 | 9 | 1 | | 7 | 6 | 4 | |
| | | | | 9 | | | | |
| | | 7 | | | | 4 | 2 | |
| | | 2 | 3 | | | | | 1 |
| | 1 | | 2 | | | | 5 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 5 | | 9 | |
| | | | | | | | | 6 |
| 8 | | | | 4 | | | 2 | 3 |
| 2 | | | | 9 | | 3 | | |
| | | 7 | 4 | | 1 | 6 | | |
| | | 4 | | 7 | | | | 9 |
| 6 | 9 | | | 8 | | | | 1 |
| 4 | | | | | | | | |
| | 5 | | 6 | | | | | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | | 9 | | |
| 1 | 9 | | 3 | | 8 | | 7 | |
| | 4 | 3 | | 7 | 6 | | | |
| 9 | | | 4 | 8 | 1 | | | |
| | | | | | | | | |
| | | | 6 | 5 | 9 | | | 2 |
| | | | 8 | 4 | | 6 | 3 | |
| | 7 | | 2 | | 3 | | 4 | 9 |
| | | 4 | | | | 2 | | |



# ჰოროსკოპი
## 14 ივლისი

**ვერძი** — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით და ამასთან დაკავშირებით გეგმების გადახედვა დაგჭირდებათ, რადგან ნანატრ ვითარებაში ყველაზე შეუფერებელ დროს აღმოჩნდებით.

**კურო** — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ აკრძალვების დარღვევას, მზად იყავით, რომ ამისგან კარგს ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით დღეს იმით დაკავდეთ, რაშიც ძლიერი არ ხართ.

**ტყუპები** — შეეცადეთ, ყველაფერს ერთდროულად არ მოედოთ— სჯობს, მთელი ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს დიდია რომანტიკული შეხვედრის ალბათობა.

**კირჩხიბი** — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა დღეს, შესაძლოა, რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

**ლომი** — დღეს გჭირდებათ ზუსტად იცოდეთ, ვის არ უნდა მიაქციოთ ყურადღება. თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ კონფლიქტი, რომლის ალბათობაც ძალიან დიდია.

**ქალწული** — დღეს ზედმეტად ემოციური ხართ, თუმცა ამ ფონზე მიღებული გადაწყვეტილებები კარგს არაფერს მოგიტანთ, ამიტომ სჯობს, კარგად გააანალიზოთ ყველაფერი.

**სასწორი** — დღეს დიდი ალბათობაა, რომ დაძაბულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარება ვერ შეძელით, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაშინ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ.

**ღრიანკალი** — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს ტემპი შეანელოთ და ამოისუნთქოთ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დღეს დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

**თხის რქა** — დღეს რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები, როგორც მინიმუმ, მოკავშირეებად აქციოთ. მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ადვილი იქნება.

**მერწყული** — მერწყულებს დღეს, შესაძლოა, საკმაოდ მკაცრად მოექცნენ, მაგრამ თუ გადაწყვეტთ, საქმეში თქვენი იუმორის გრძნობა ჩართოთ, ამ საქციელს მომენტალურად ინანებთ.

**თევზები** — დღეს ნაკლებად ხართ განწყობილი სამუშაოდ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენს საქმეს არავინ გააკეთებს და ამის გამო უფროსობასთან პრობლემები შეგექმნებათ.

# საკვების გარეშე ცხოვრება შესაძლებელია?



ამბობენ, რომ ადამიანს საკვების გარეშე არსებობა ორი თვის განმავლობაში შეუძლია, თუმცა შრილანკელი კირბი ლანეროლი საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობს. მამაკაცი თითქმის ხუთი წელია, საჭმელს არ ჭამს. მისი თქმით, არსებობს სხვა წყაროებიც, ენერგეტიკულად უფრო გამდიდრებული, ვიდრე კვების პროდუქტები. კირბი დარწმუნებულია, რომ კალორიების მიღება შესაძლებელია შუქის, ვიბრაციის, ქარისა და ფოტონებისგან. იდეა მარტივია — ადამიანი მზის ბატარეებს ემსგავსება. ბოლო ათი თვის განმავლობაში მამაკაცის ყოველდღიური რაციონი 500 კალორიას არ აჭარბებს. ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში ლანეროლი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, თუმცა, მან ეს მავნე ჩვევა დასძლია და სოციალური მომსახურების სამინისტროში მრჩევლადაც მუშაობდა. მერე იმ ადამიანების შესახებ შეიტყო, ვინც წლების განმავლობაში არ იღებს საკვებს და თავადაც დაინტერესდა. ახლა ის ცდილობს, პროპაგანდა გაუწიოს ცხოვრების განსხვავებულ წესს. თუმცა, მედიკოსები აცხადებენ, რომ მსგავსი რეჟიმი საკმაოდ ნეგატიურად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

# ჩრდილოეთ ნახევარსფეროში „გამყინვარება" დაიწყება



2015 წლიდან დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში კლიმატი თანდათან შეიცვლება და ის სიცივისკენ გადაიხრება, — ასეთ დასკვნებს იაპონიის ზღვის კვლევების ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი ნაკამურა აკეთებს. იაპონელი სწავლული წყლის ტემპერატურის ცვლილებას სწავლობდა გრენლანდიის ზღვაში, 1957 წლიდან დღემდე. ნაკამურას თქმით, ტემპერატურის რყევები კარგი ინდიკატორია იმ ცვლილებებისა, რომელიც საშუალოდ, 70 წელიწადში ერთხელ ხდება ატლანტის ოკეანეში, თბილი და ცივი დინებების მიმართულებით. მსოფლიო კლიმატის ცვლილებთან ამ მონაცემების შეთავსებით, მეცნიერმა დაადგინა, რომ კლიმატის დათბობის მორიგი ციკლი ორი წელიწადში, ანუ 2015 წლისთვის დასრულდება და მას ცივი კლიმატი ჩაანაცვლებს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 1 | 9 | 6 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 9 | 5 | 7 | 2 | 6 | 8 | 1 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 1 | 4 | 2 | 9 | 5 |
| 1 | 2 | 8 | 4 | 3 | 6 | 5 | 7 | 9 |
| 9 | 6 | 7 | 2 | 8 | 5 | 1 | 3 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 | 8 | 2 | 6 |
| 7 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 9 | 1 | 2 |
| 3 | 1 | 2 | 8 | 5 | 9 | 4 | 6 | 7 |
| 6 | 9 | 4 | 7 | 2 | 1 | 3 | 5 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 1 | 4 | 5 | 2 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 7 | 8 | 6 | 3 | 1 | 9 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 1 | 8 | 3 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 | 9 |
| 7 | 4 | 5 | 3 | 1 | 9 | 6 | 8 | 2 |
| 9 | 6 | 2 | 8 | 4 | 5 | 1 | 3 | 7 |
| 8 | 3 | 9 | 2 | 6 | 4 | 7 | 1 | 5 |
| 5 | 2 | 7 | 1 | 9 | 8 | 4 | 6 | 3 |
| 4 | 1 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 | 9 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 9 | 7 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 8 | 1 | 4 | 3 | 5 | 6 | 9 |
| 6 | 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 1 | 4 |
| 3 | 8 | 4 | 9 | 2 | 1 | 6 | 7 | 5 |
| 5 | 2 | 7 | 3 | 8 | 6 | 4 | 9 | 1 |
| 9 | 1 | 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 8 |
| 8 | 9 | 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 5 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 8 | 1 | 2 | 9 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 6 | 5 | 9 | 2 | 8 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 9 | 3 | 2 | 5 | 1 | 4 |
| 9 | 5 | 2 | 4 | 7 | 1 | 8 | 3 | 6 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 6 | 5 | 2 | 9 | 7 |
| 6 | 4 | 5 | 7 | 2 | 9 | 3 | 8 | 1 |
| 3 | 2 | 8 | 1 | 5 | 6 | 7 | 4 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 3 | 8 | 4 | 6 | 5 | 2 |
| 5 | 9 | 7 | 6 | 4 | 3 | 1 | 2 | 8 |
| 2 | 8 | 4 | 5 | 1 | 7 | 9 | 6 | 3 |
| 1 | 6 | 3 | 2 | 9 | 8 | 4 | 7 | 5 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 6 | 7 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 7 | 3 | 4 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 2 |
| 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 3 | 9 | 7 | 8 |
| 8 | 4 | 9 | 3 | 6 | 1 | 7 | 2 | 5 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 5 | 4 | 8 | 6 | 3 |
| 6 | 5 | 3 | 8 | 7 | 2 | 1 | 9 | 4 |
| 4 | 7 | 5 | 2 | 8 | 9 | 3 | 1 | 6 |
| 3 | 6 | 8 | 5 | 1 | 7 | 2 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 2 | 4 | 3 | 6 | 5 | 8 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 6 | 5 | 8 | 3 | 1 | 7 | 4 |
| 8 | 7 | 1 | 9 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 7 | 8 | 9 | 6 |
| 7 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 | 5 |
| 1 | 6 | 5 | 7 | 4 | 9 | 2 | 3 | 8 |
| 3 | 9 | 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 |
| 4 | 3 | 8 | 6 | 9 | 1 | 5 | 2 | 7 |
| 2 | 5 | 7 | 4 | 3 | 8 | 6 | 1 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 2 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 7 | 9 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 9 | 6 | 5 |
| 1 | 9 | 6 | 3 | 5 | 2 | 4 | 8 | 7 |
| 6 | 8 | 9 | 7 | 4 | 1 | 2 | 5 | 3 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 2 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 7 | 2 | 1 | 8 | 3 | 5 | 6 | 9 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 6 | 8 | 3 | 9 |
| 2 | 1 | 8 | 5 | 9 | 3 | 7 | 4 | 6 |
| 9 | 6 | 3 | 4 | 7 | 8 | 5 | 1 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 2 | 3 | 6 | 5 | 1 | 4 |
| 5 | 6 | 4 | 9 | 1 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 1 | 3 | 2 | 7 | 5 | 4 | 9 | 8 | 6 |
| 8 | 4 | 9 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 |
| 3 | 2 | 6 | 1 | 4 | 5 | 8 | 9 | 7 |
| 7 | 5 | 1 | 8 | 2 | 9 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 7 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 6 | 8 |
| 6 | 1 | 3 | 5 | 8 | 7 | 4 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 8 | 4 | 6 | 1 | 3 | 7 | 5 |

მე-13 გვერდი: 1. გარგარი; 2. ბორჯომი; 3. გოსპელი; 4. რარიტეტი; 5. ამქარი; 6. იდილია; 7. ბივა; 8. რიანა; 9. ოდელსტინგი; 10. იდიოტია; 11. ქსეროქსი; 12. სინდიოფალა; 13. ქარი; 14. ნდოლა; 15. ავღანეთი; 16. ოლეშა; 17. ტეკილა; 18. ტოსტაო; 19. ამადუ; 20. ვესტერნი; 21. იდა; 22. ეტლი; 23. ლიე; 24. ენოთეკა; 25. იდენი; 26. მელ; 27. კისა; 28. „ოდისეა"; 29. ინტი; 30. ლამბადა; 31. მარია კალასი; 32. ლიანგი; 33. ნიანგი; 34. ინო; 35. ოსლო; 36. დიზელი; 37. რაზდანი; 38. გლდანულა; 39. ოფი; 40. ალტი; 41. მზია; 42. იონია; 43. სარა; 44. „აიდა"; 45. ორმო; 46. მნათე; 47. დენთი; 48. ფსი; 49. რელიზი; 50. ისი; 51. კოალა; 52. ვინ; 53. ხაო; 54. რემიზი; 55. ისლი; 56. ნანა; 57. ბოი; 58. ეშლი; 59. ლაილაი; 60. სიო; 61. გოგრა; 62. იაკობი; 63. უთო.

მე-16 გვერდი: 1. რეიკიავიკი; 2. შტაბი; 3. თარი; 4. კამიუ; 5. იდიია; 6. გოლკიპერი; 7. ვიმინალი; 8. კულინარია; 9. ოსტი; 10. სტილბი; 11. ტონა; 12. ოლაჯიუვონი; 13. ბობანი; 14. მნემოსინე; 15. ტრალი; 16. მძლეოსნობა; 17. სტალაგმიტი; 18. ანანური; 19. ნონეტი; 20. ილაჯი; 21. აგა; 22. არიკა; 23. ბრი; 24. ფორინტი; 25. აბრაგი; 26. ლამა; 27. იუნიორი; 28. ლორი; 29. პაიკი; 30. ფიგუ; 31. ბორის; 32. ედილი; 33. იალბუზი; 34. ლაინერი; 35. უჯარმა; 36. ანტი; 37. სდასუ; 38. ავერსი; 39. ჰოკაიდო; 40. ჰიგია; 41. ნასა; 42. პაკო; 43. აგრა; 44. ეგიდა; 45. რაინდი; 46. ლი; 47. ფრე; 48. ანგინა; 49. ემი; 50. ბუ; 51. კატო; 52. ძნა; 53. ალ; 54. მის; 55. აბრისი; 56. ალეკ; 57. პი; 58. ილიე; 59. ილი; 60. ბისო; 61. ისი; 62. ემისია; 63. ბილ; 64. ინა.



1. მრავალწლოვანი ბალახი წითელი ნაყოფით
2. „გარეთ ატლასი, შიგნით ათასი“
3. ნამდვილად არსებული ნივთი
4. „ჩოლკა“ -ქართულად
5. ჰავაელთა მინიგიტარა
6. ჭეშმარიტების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგ
7. ინდოეთის ფულის ერთეული
8. ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი
9. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი
10. ქალაქი ქვემო ქართლში
11. ბელგიის სიდიდით მეორე ქალაქი
12. რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავი
13. ცხოველის ზურგის ბოლო ნაწილი
14. ავტომო-ბილის წინა საქარე მინა
15. ქართული მხატვრული ფილმი
16. აცტეკთა იმპერატორი
17. იგივეა, რაც მინანქარი
18. (ძვ.) უფროსი მოსამართლე
19. დახრილი, ალმაცერი
20. მომღერ. ... აპინა
21. ფიზიკის ნაწილი
22. ბუნებრივი საფეიქრო ბოჭკო
23. კურკოვანი მჟავე ხილი
24. მარადიურია
25. მწერალი ... ტოლსტოი
26. სუფრის მინერალური წყალი
27. ბიბლიური კიდობნის ამგები
28. ბგერის გრაფიკული ნიშანი
29. შუა აზიელთა ქეჩის კარავი
30. რასელ კროუს კინოროლი
31. ავსტრალიური მორბენალი ფრინველი
32. ბუნებრივი წყალსატევი
33. საავტომობილო სპორტის სახეობა
34. კაუჩუკის ხე
35. იაპონური თეატრის სახეობა
36. თარაშ ემხვარის ცხენი
37. რომის პაპის ბრძანებულება, სიგელი ან ბეჭედი
38. ძველი გამომსახველობითი ფორმე-ბის გამოყენება თანამედროვე ხელოვნებაში
39. ირლანდიელი ფეხბურთელი ... კინი
40. იგივეა, რაც ტარიფი
41. პირისახის ძვალი
42. წინაპრებისგან დამკვიდრებული წესჩვეულება
43. მსახ. ... ნილი
44. ტაძარი ტაოში
45. ნახევრად ძვირფასი ქვა
46. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
47. კოსმეტიკ. ფორმა „მერი ...“
48. ტბა აფრიკაში
49. ძვ. გრძელტარიანი საომარი იარაღი
50. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
51. ყოფილი ფრანგი შავკანიანი ფეხბურთელი
52. რევაზ ლაღიძის ოპერა
53. გერმანელი კომპოზიტორი
54. საგზაო ფუტლარი ტუალეტისათვის საჭირო ნივთების მოსათავსებლად
55. კაბის სიგრძე მუხლამდე
56. თუთაშხიას სახელი
57. ტროპიკული ხილი
58. ანტიკური კოლხეთის მეფე
59. ჩინელთა ბელადი ... ძე დუნი
60. გლეხი ირანსა და შუა აზიაში
61. მდინარე აზიაში
62. ყინული - ინგლისურად

# შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

# ვისკის დეგუსტატორს ეძებენ

შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში მდებარე ერთ-ერთმა ბარმა ვისკის დეგუსტატორის ვაკანსია გამოაცხადა. სამუშაოს შესრულებისას კანდიდატს სასმელის უამრავი სახეობის გასინჯვა და დაწესებულებისთვის მენიუს შედგენაში დახმარება მოუწევს. ბარის მფლობელის განცხადებით, რომელიც ამ ვაკანსიას „მსოფლიოში საუკეთესო სამსახურს“ უწოდებს, მის დაწესებულებას ვისკის კონსულტანტი სჭირდება, რომელსაც არა მხოლოდ უყვარს ეს ალკოჰოლური სასმელი, არამედ შეძლებს სხვადასხვა სახეობიდან ყველაზე საუკეთესოს შერჩევას. სადეგუსტაციო სესიისას მას შეთავაზებული სასმელის გასინჯვა ორი-სამი ყლუპით შეეძლება. ბარში აცხადებენ, რომ ვისკის ტესტერის თანამდებობის დაკავება მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ჩასულ, სრულწლოვან ადამიანს შეეძლება. სპეციალისტები, ვისკის, ძირითადად, ხუთი კრიტერიუმით — ფერით, სუნით, გემოთი და „გემოსშემდგომი“ შეგრძნებებით აფასებენ.


**Appraisal.llc**

**შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ.**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com**



**ვერსია**

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.